

ქრისტიანული პოეზიის IV ფესტივალი

წმინდა ნინოს ჯვარი

კრებული IV

თბილისი  
2014

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე  
ლია დაუშვილი

ჟიური:  
მამა ილია ჩიკვაძე  
ზაალ ბოტკოველი  
ანა ერისთავი  
მალხაზ მაჭავარიანი  
გივი ჩიღვინაძე

რედაქტორი  
აკაკი დაუშვილი

© გამომცემლობა „ქალაქის წერო“, 2014

ISBN 978-99928-999-6-0 (ყველა კრებული)

ISBN 978-9941-9333-4-9 (კრებული IV)

წიგნის გარეკანზე:  
წმინდა ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი და სალოსი. ხატი.  
ხატმწერი მონოზონი ნანა (ქუთათელაძე)

## ამირან სურგულაძე

Κύρι Ελέη ον \*

### დაბრუნება

აჰა,  
მოვედი ტაძრის კარებთან  
ქე დაცემული – ცოდვებით სავსე  
და ღვთის საუფლოს ვუცქერ გარედან  
და ცოდვის ჩაჩი მახურავს თავზე.  
აჰა,  
მოვედი,  
მიმიღე ღმერთო,  
რაც ცოდვა მაწევს მომწმინდე სულ მთლად  
და აჰა,  
ვღგავარ,  
და ვიცი – ვყბედობ  
და ეს ყბედობა მიხუთავს სუნთქვას.  
მოვედი დღემდე ათასი ცოდვით  
და მოვიტანე ჩემი ბილწება.  
მოვედივარ მუდამ,  
მოვედივარ ოდით,  
თან მომაქვს ცოდვის არდავიწყება.  
მიმიღე,  
ღმერთო,  
საუფლოს წმინდას,  
მაცქირე თუნდაც კარის ღრიჭოდან.  
ჩემს შეცოდებას მარადის ვზიდავ  
დაბადებიდან რაც შემიცოდავს.  
მხოლოდ შენა ხარ მოწყალე არსი  
და განმწმენდელი ხრწნილ სამარეთა.  
აჰა, მოვედი წმინდა ტაძარში  
და ცოდვით სავსე ვღგავარ კარებთან.

### სინანული

აღმივსე,  
ღმერთო,  
თვალები ცრემლით  
და ჩემი გული სინანულს გეტყვის.

ვიყავი შენი ვაზი და მრევლი,  
ეხლა ვარ ცოდვით გადანასეტყვი.  
დე, ასე იყოს,  
დე, ვიყო მკვდარი,  
თუნდაც წამლგოს წყალმა-ღვარცოფმა.  
შემაძლებინე, რომ გულის კარით  
განვაგდო ჩემი ცოდვილკაცობა.  
რომ სინანულად მოვიდე კვალად,  
რომ სიხარულით ავივსო მკერდი.  
დიდება შენდა...  
დიდება მარად...  
მკვდრებით რომელი აღდგინ ღმერთი!

## სიტყვა

ჯვარს ეცვა იგი. ჯვარს აცვეს იგი.  
და იყო სიტყვა. და იყო ფიქრი.  
მილურსმნეს ხეზე სათუთი ტანი.  
თეთრი სხეული ჯვარზე აწამეს  
და იღვა მთელი ჰურრიასტანი,  
დიდი და მცირე, კაცით-კაცამდე.  
„ესე არს შვილი, ესე არს დედა“ –  
მის ცისფერ თვალებს მოაწვა სევდა.  
სამყაროს დარდი, ადამის ცოდვა,  
მხრებით იტვირთა უფალმა წმიდამ.  
„ჯვარს აცუ ეგე“ – უზნური მოდგმა  
კვლავ გაჰკიოდა გოლგოთის ძირთან.  
და იგი, როგორც მეუფეს შეგნის  
თვალებს ილტობდა მათთვის ვედრებით  
და იდგნენ მთასთან უძლები ძენი  
და დაულეწეს შუბით გვერდები.

## ავაზაკი

და მეც უვიცი, ცოდვილი, ბილწი,  
ვდგავარ და ვიცი, არ მაქვს შენდობა  
და აჰა, ისევ სირცხვილით ვიწვი  
გვერდს რომ მივლიან, როგორც კეთროვანს.  
ეჟვანშებმული ცოდვიან ხელზე  
გოდებით მივალ აღთქმულ მიწებზე.  
მე ვარ, უფალო, გაკრულმა ხეზე  
გულში რომ სისხლი ჩამომიწვეთე.  
მე ვარ, უფალო, ის ავაზაკი,  
მე ვარ, რომელმან მრავალი ვცოდე  
და უსახური, როგორც ვასაკა  
გვედრი „მიწყალე, მოხვიდე ოდეს“.

## უძღები შვილი

მომენატრე და ისევ მოვედი  
და შენს თვალებში ვეძებ იმედებს.  
შენთან მოვდივარ ბოლოს ყოველთვის  
და დასაღუპად შენ ვერ მიმეტებ.  
ვისეცტიალებ შავბნელი გზებით  
და ათას ცოდვას ვეზიარები  
და მერე მოვალ  
და შენით ვთბები  
და ანთებული შენი თვალებით.  
ვისვენებ შენში  
და ვიკრებ ძალას  
და ვეძებ ხილვას ლამაზი წამის.  
ჩემმა ცოდვებმა შენ არ დაგდალა;  
ნუთუ არ კმარა რაც ჯვარს გაწამეს?!  
და უსახური ცოდვებით სავსე  
და სინანულის მადლით მოსილი,  
დავდივარ ასე  
და მადგას თავზე  
შენზე ფიქრები ანგელოსივით.  
ნუ დამავიწყებ ამ ძვირფას ფიქრებს,  
ნუ მიმატოვებ ცოდვებში ჩაფლულს.  
დიდი ხნის შემდეგ,  
ვინ იცის,  
იქნებ,  
აღარც მე ვგავდე თვითმკვლელის საფლავს  
და ჩემი სული, ცოდვებით სრწნილი,  
ისევ აღდგეს და შენს გზაზე შედგეს.  
გმადლობ,  
რომ ქვეყნად  
არის სიკვდილი  
და სიცოცხლეა სიკვდილის შემდეგ!

\*Κύρι Ελέη σν (კირიე ელეისონ. ბერძნ.) – უფალო, შეგვიწყალებ

## ედუარდ უგულავა

### ქეთევან დედოფალი

მზე შირაზის ისე მწარედ ანათებს  
ლამის ახებს გამშრალ ქვიშას ლოყას...  
ისმის – „მოჰყავთ“ და სისხლისფერ ჯაღათებს  
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.  
რწმენა მისი სხვა სიმტკიცის ფასია...  
მხერა მისი სხვა სიმშვიდის არის...  
ყელაზიდულს თეთრი კაბა აცვია  
(ლამაზია დედა დედოფალი).  
არა, შაჰი მასთან ვერ მორიგდება,  
ის ურჩობას არ პატიობს მის მტერს:  
ან მაჰმადი – პატივი და დიდება,  
ან წამება – ესე იგი ქრისტე!..  
თუმც დედოფალს, ხალიჩაზე ამაყად  
ქვეწარმავლის სინებივრით მწოლი,  
ვერ უბზარავს რწმენის მაღალ ალაყაფს  
ვერც ირანი, ვერც „ირანის ლომი“;  
და ხმა მისი, მტერიც ხვდება უგულო,  
რა სიმტკიცეს და სიყვარულს იტევს:  
– მხოლოდ ქრისტე! მხოლოდ ქრისტე, უგნურნო!  
ჯვარცმული და წამებული ქრისტე!  
და სიჩუმე, თითქოს მშრალი თითებით  
უფერულ თმას მგლოვიარედ იშლის...  
ცხელ ჰაერში ფარფატებენ ჩიტები,  
უცნაური ფერისა და ჯიშის.  
ღმერთო ჩემო თავზე როგორ უბრალოდ  
ახურავენ ადუღებულ მიტრას...  
იწვის ხორცი და შენ უწყვი, უფალო,  
ამ შემზარავ ტკივილს როგორ იტანს...  
ლამის იქცეს ფერფლად ფრესკის სადარი,  
სექტემბრის მზეს ოფლი დასდის სიმწრის...  
დედოფალი, სანახევროდ დამდნარი,  
ანთებული სანთელივით იწვის.  
მერამდენედ, ღმერთო, უკვე რამდენჯერ,  
თავზარდამცემ ტკივილების დამთმენს,  
ფლეთენ, კვეთენ, მკერდს გაზებით აგლეჯენ  
და სისხლშივე აგრილებენ შანთებს.  
ეკარგება სხეულს ფერი სინედლის  
და სიცოცხლე ჭრილობიდან ჟონავს.  
უკვე ცერზე დგება ხალხი მიღეთის,

რომ უცქიროს სურათს გაუგონარს.  
– მხოლოდ ქრისტე! – მოძრაობენ ტუჩები.  
(რწმენა მისი ვერ ითქმება ამბად)  
და ნაკვერჩხლებს ამოვსებულს ლურსმნებით  
აფარებენ ცეცხლმოდებულ საბნად.  
ოჰ, ეს ტანჯვა ათჯერ სიკვდილს ეყოფა  
და ჯალათი, წამითაც არ შემეკრთაღს,  
ყელში სწვდა და ხელით ახრჩობს დედოფაღს,  
ჯერაც ცოცხალს, წამებისგან ვერ მკვდარს.  
და სულს, სხეულს მტრედივით რომ შორდება...  
ცის სიღურჯე რომ ირჩია ბინად,  
ფრთებით მიაქვს საქართველოს გოდება  
და წამებულ შვილიშვილთა გმინვა...  
ჯალათი კი, ღვარულ ოფელში გაბანიღს  
სისხლით იხელს ამობურცულ კუნთებს,  
მერე ერთხანს ეჭვით დასცქერს და ბარით  
მიცვალებულს შუბლს ყვირილით უმტვრევს...  
ხოლო ხალხი – დაფანტულს და ფერამლიღს  
ჰგავს მგლებისგან დაფეთებულ ფარას.  
ბრბო ირევა და საშინელ ჯგლეფთაში  
თავდახრილი ქართველები დგანან...

ო, დედოფლის თვალებს ღვთიურ სინაზის  
შეენის ფერი – დარჩენილებს ღიად...  
სხვის მიწაზე, ცოდვით სავსე შირაზში  
გულისწამსვლელ ნაფლეეთებად ყრია  
ქეთევანი, – ასე უღვთოდ ნამუსრი,  
სურვილს რწმენით რომ უბზარავს ირანს...  
საქართველოს სიმტკიცე და ნამუსი!...  
დედოფალი – ორთავ სოფელს შინა!..

# ზოია ვაშაკიძე

## იესუ

### *გურამიშვილის მოტივზე*

ტადრად კრძალული მოველ და... ლოცვით გავედრებ მშიერ სულს.  
გამიღე შენი კარიბჭე, შემოსვლად ღირს მყავ, იესუ!  
ვერ დამითვლია ცოდვანი, ვნებებმა ჩემს სულს სძლიესო,  
გთხოვ შემიფარო შენს ფრთებქვეშ, კაცთმოყვარეო, იესუ!  
ისმინე ჩემი ვედრება, გულით გთხოვ, გულთმეცნიერსო,  
დავეცი, სულით ვნებული, შენ აღმადგინე, იესუ;  
ჭირი ბევრი მაქვს... თუმც შენით, დარდებმა ვეღარ მძლიესო,  
სიმხნე შენ მომეც კეთილო, ავსულს თავისი მიეზლო...  
შენით ვწერ... ვუმღერ სიცოცხლეს, ხან ციურს, ხან მიწიერსო,  
მგონსობას შენით მოველი, ტკბილო მამაო, იესუ;  
ბევრჯერ მებრძოდა ბოროტი, დამცეს და დამაქციესო,  
მაგრამ სულით ვერ გამტეხეს, მცველად შენ გსახდი იესუ;  
მამით ობლობა ვიგემე, დარდს და სატკივარს მწიესო...  
შვილად მიმიღე, მშობელად შენ მომევლინე იესუ;

.....  
მარადიულო ნათელო... სანთელო ჩაუქრობელო...  
ტკბილო, სულისა დამხსნელო, ჩემდა ნუგეშისმცემელო.  
მომიძიე, არ დამკარგო, შენკენ სვლით მუხლებნაკაწრი...  
განმიღე ბნელი გონება, რომ გითხრა სიტყვა საკადრი.  
ვითარცა სავსე თავთუხი, მასწავლე დგომა თავდახრით.  
არც ერთი ჩემი ნაბიჯი, არ იყოს სხვათა საძრახი.  
რომ შენკენ სავალ ბილიკზე, არ გადამიცდეს ტერფები,  
სიკეთის სხივად ამანთე, შენს ღირს შვილს, ვითარც შეჭფერის.

.....  
აღვაფლენ ლოცვებს... იმედით, ვუცქერ ცას, თვალსაწიერსო,  
მოვიღტვი შენკენ, აღმართზე, შენ მომეშველე, იესუ;  
თვალახელილი მატარე, მინდა ვაკეთო რაც შენ გსურს.  
არ მიმატოვო, გეძახი... იესუ!.. იესუ!.. იესუ!..



## შოთა ზოიძე

### „ტყვე ქალი“

*ბერძნულ-ლათინურ წყაროებში ნინო  
კაპადოკიელი იხსენიება, როგორც „ტყვე ქალი“.  
მცხეთელებიც ასევე უწოდებდნენ, მისი უთვისტომობის გამო.  
ძველ ქართულში ტყვე უცხოს სინონიმია.*

ვართ შენს ტრაპეზზე მოწვეულები,  
შენი ხატების სათაყვანებლად.  
შენ დაგატყვევეს ბროწეულების  
ყვავილებმა და პურის ყანებმა.

შენს ნატერფალებს ვერცხლი ასხია,  
სადაც არა ხარ, იქაც გხედავენ,  
ატმის ყვავილი შენი ასლია,  
ატმის ყვავილის შენ ხარ დედანი.

ნანა დედოფალს როცა ნათლავდი,  
როცა მირიან მეფე მონათლე,  
ურწმუნოება იქვე მოთავდა,  
ქვეყანა უფლის მადლით განათდა,

ანგელოსები შენზე ზრუნავენ,  
მე სამი ანგელოზის მამა ვარ,  
ღმერთი იგონებს ახალ სუნამოს,  
შენი დაწვეების დასანამავად.

ახლა შენს პორტრეტს ხატავს როდენი,  
სირინოზების გვატკობს ოსანა.  
ღმერთი იგონებს ახალ მოდელებს,  
შენი სხეულის შესამოსავად.

შენ შთამაგონე თავგამეტებით,  
სათნოება და მსხვერპლის გაღება,  
ძირს ჩამოდიან სხვა პლანეტები,  
შენი სურათის გადასაღებად.

შენს ნათლულებში მეც მიმითვლიან,  
ყველა ქართველის შენ ხარ ნათლია,  
გულებში შენი ცეცხლი გვანთია  
და ყველგან შენი ათინათია.

ურწმუნობას ყავლი გასვლია,  
სადაც არა ხარ, იქაც გხედავენ,  
ატმის ყვავილი შენი ასლია,  
ატმის ყვავილის შენ ხარ დედანი.

მზეა და ყვავილების ჯარია,  
ქართველს ჯვარცმულის გზებით უვლია,  
და, ყველგან, სადაც შენი ჯვარია,  
იქ სიცოცხლე და სიხარულია!

ვართ შენს ტრაპეზზე მოწვეულები,  
შენი ხატების სათაყვანებლად,  
შენ დაგატყვევეს ბროწეულების  
ყვავილებმა და პურის ყანებმა.

## ჯემალ ჯაყელი

### ჯვარი გეწერთ!

*„განვედ კაპადოკიით და შევედი ქვეყანასა შინა,  
რომელსაც დიდაჭარა ეწოდების“  
ანდრია პირველწოდებული*

ანდრია პირველწოდებულს  
შუქი შემოჰყვა კანდელის,  
აჭარას შემოათენა  
ქრისტიანობის ნათელი.  
ნინომ ამ მადლით განკურნა  
სამეფო საქართველოსი,  
ჯვრით შემობრძანდა,  
უძლოდა  
ცხრა მზე და ცხრა ანგელოსი.  
ცხრა უტევანით შორავდა  
დადუმებული არმაზი.  
ჯვარი ბოლოებდახრილი  
ფრთებს შლიდა, როგორც გავაზი.  
არ უვის ქართლსა ქალწული,  
ვით ნინო, სარო, კენარი,  
ზეღვთაებრივი სურვილით  
ღამეებგანათევარი.  
მართმადიდებლურ სიწმინდით  
ხატებთან ფეთქავს სანთელი.  
ლოცვად დამდგარო მთიებო,  
მარადის გედგათ ნათელი,  
შარავანდელი დაგნათის,  
ღმერთის წილხვედრის სახელით.  
ნინოს ჯვარი და სამშობლო  
საფიცარია ქართველის.

## თამარ ფარჩუკიძე

### გული დამრჩა

ოთხი დღე და ოთხი წელი,  
მერე კიდევ – ოთხასი,  
დარდი მქონდა, ფიქრი მქონდა  
ბანასი და ოთხთასი...  
აჰა, მოველ, მოგეახლე,  
სული შემოგაფერე,  
იავარქმნილს, თუმც ოდესღაც  
ნალოცვეს და ნაფერებს.  
მეცნო ჩემი ცა და მიწა,  
ჩემი დასაფიცარი,  
გადამქრალი ფრესკები და  
ჩუქურთმები ვიცანი...  
ხანძთა – სული ქვადქცეული  
ზეცის კაცის – ხანძთელის  
და შატბერდი – ნიშან-სვეტი  
განსაცდელის, განცდილის...  
შავშეთს – ციხე თამარისა,  
იშხნის ტაძრის თაღნარი,  
წყაროსთავის სავანეთი,  
ვალაშკერტის ბაღნარი...  
იმერხევის მთაწნულეები,  
ხევი მზის საბუდარი,  
ბასიანი – დიდებული,  
საუფლო საჩუქარი...  
არტანუჯი – კლდის ნატეხი,  
უამრავ ჭირნახული,  
ოშკი, ტბეთი, კარი, ბერთა,  
პარხალი და ხახული...  
ტაოსკარი – გაპობილი  
მოლაშქრეთა ხმებითა,  
კოლას გზებზე – ნატერფალი  
კოლაელი ყრმებისა...  
დადაშენი – დახლართული,  
დოლისყანა – ეული,  
ოპიზაში – ანაბეჭდი  
ოპიზრებისეული...  
კლარჯეთს – თეთრი ნანგრევები  
ბაგრატოვანთ პალატის  
და აჩრდილი „ტკბილი, უხვი  
დიდი კურაპალატის“...

ფანასკერტის სანახები –  
ვარდისფერი კორდები,  
გალობა უღერს ჩვენებური  
ქართული აკორდებით...  
მოვილოცე, გარდასული  
წელი, ღამის ოთხასი,  
გული დამრჩა, ჭოროხის პირს,  
მადლი დამაქვს ოთხთასი.

## ვასილ ბოსტაშვილი

\* \* \*

მოუსხდებიან სუფრას ჩრდილები,  
შექცევით ქარვისფერ ღვინოს...  
მხიარულობენ უფლის შვილები,  
ადღერძებენ მზეს,  
წმინდა ნინოს...

ბერმუხასავით დელავს თამადა,  
სული ივსება ცითა და ლექსით.  
თოვლი მოსულა სალოცავადა,  
ვითარცა ერთი უბრალო მწვემსი...

ცერზე დაიმხობს გამოცლილ სასმისს,  
მზე დაისივით  
და გაიღევა...  
გაიხსენებენ გმირობას ცხრა ძმის,  
რუსთაველის გენს,  
უკვდავ ქმნილებას...

შვიდმნათობიერს  
აქებენ თამარს,  
მაღალი კლდენი დგანან მცველებად...  
შემოივლიან კურთხეულ მთა-ბარს,  
ახალციხელად  
და მხარგრძელებად...

ცას აათროლებს ჩუქურთმა ვაზის,  
მხრებგანიერი სვეტიცხოველი...  
ანგელოზს ცრემლი მეჭეჭად აზის,  
ომში დაცემულთ გლოვობს მშობელი...

ხეთა შრიალში ისმის „ჩაკრულო“,  
შაფხოხიანი მღერის უღრანი...  
ძვალნო,  
უამრავ მტერთა დახრულო,  
გჯიჯგინდნენ მგელნი,  
გხრავდნენ ტურანი!..

მაინც გადარჩა რწმენით მაღალი,  
ჯიში და მოდგმა ველურ არწივთა...  
ჯვარს ისახავდა ხელის კანკალით,

როცა იბრძოდა,  
სისხლი აწვიმდა...

მომავლის ნერგებს იცავს მებაღე,  
შვილი მზისა  
და შვილი მთოვარის...  
უფლის კურთხეულ გზაზე მენახე,  
მეორედ მოვა როს მაცხოვარი!..

ოცდამეერთედ იესება თასი,  
იესება სული  
და სახარება...  
როგორც მოწამე ასიათასი,  
აჩრდილებივით დგანან ჯარებად...

## მიხეილ ჩხეიძე

### აღსდექი სულო!

*„არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლითა მიმართ და კორციითა,  
არამედ მთავრობათა მიმართ და კელმწიფებათა,  
სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთროდსათა,  
სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“.  
(ეფეს. 6-12)*

აღსდექი სულო, აჰყევი მწვერვალს,  
იქ გელის მზე და ხმალი ელვარე,  
იქ წუხელ ყინვით დამზრალ თებერვალს  
გათოშილ ხელებს უთბობდა მთვარე.

აღსდექი სულო, შენ დაგიფარავს  
ეს გზა ვარსკვლავთა შუქით ფენილი,  
და სიყვარულის გაგიშლის კარავს  
ზეცა – ქვეყნიდან გამოდევნილი.

აღსდექი სულო, ამ წყეულ მიწას  
მხოლოდლა კაცთა სისხლი სწყურია,  
მის ბინძურ სხეულს ეშმაკი იცავს,  
ეს სისხლი სულის საფასურია!

აღსდექი სულო, დასტოვე ცრემლი –  
ცრემლი ლაჩართა სიქადულია,  
შენთვის ხმაღს სჭედავ სახლაის გრდემლი,  
რომელზეც სხვა ხმაღს არ გადუვლია.

აღსდექი სულო, ნუ დაეცემი,  
ნუ დაანახებ მომხდურს ჭრილობას,  
სთქვი: ეს ჭრილობა არ არის ჩემი,  
არც ამ სისხლს სურდა ჩემი შვილობა.

აღსდექი სულო, სასოწარკვეთა  
შენს ფერხთქვეშ მოკვდეს, როგორც მამონა,  
შენ კი შენს გამო ჯვარს გაკრულ ღმერთთან  
ნუ შეგაშინებს ლურსმნების პოვნა.

აღსდექი სულო, ქარში, წვიმაში...  
შენ მხოლოდ ერთი ფიქრით იარე –  
ჩვენთან არს ღმერთი! ახლაც და მაშინ,



გზად დაცემულს რომ გიხვევს იარებს.

აღსდექი სულო, ნუ შეგაშფოთებს  
თუ წინ სავალ გზას სიკვდილი წაშლის,  
ფერხტქვეშ იხილავ სისხლიან ფოთლებს,  
შორეულ სატრფოს დაჰკარგავ ქარში...

აღსდექი სულო, სხვა სიყვარული,  
სხვა სიხარული რა გაბადია –  
მხოლოდ ღვთის სისხლი შენთვის დაღვრილი,  
ყველა დაცემა რომ გაპატია.

აღსდექი სულო, მძიმე ლოდებით  
შავი ტალღები ამსხვრევს თეთრ ნავეებს,  
ოჰ, შენ კი მშვიდად დაელოდები  
მას, ვინც ამ ზღვას და ქარს შეაკავებს.

გახსოვდეს, მოვა ის ერთი წამიც –  
წამი სიმშვიდის და ნეტარების,  
როცა გამოცლი სიცოცხლის სასმისს  
და უფალს შენსას მიებარები.

## მამუკა დემეტრაშვილი

### ჯვარი

*„ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი  
თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.“  
მათე 16, 24*

ვით ნიადაგი სინჯვას  
მოითხოვს, ვიდრე დათეს,  
ესრეთ ღვთის საქმის წინ ჯვარს  
იძენ, გვარწმუნებს მათე.

თუ გიერთგულა მყესმა,  
დევნა ტკივილს რომ გგვრიდა,  
მაშინ იტყვი, რომ გესმა  
ღვთის შეძახილი ჯვრიდან.

ზნედაცემული ხროვა  
საკანში გსვამს თუ გიტევს,  
მსაჯული მაინც მოვა,  
მაინც ჩაამსხვრევს კლიტეს.

მართალს უამი რომ გსჯიდა,  
თუნდაც გაძგერონ ჭურვი,  
უკვდავების წყლის ჭიდან  
შენ დაიოკებ წყურვილს.

მდევარ საწუთროს ბრძმედით  
სული ცოცხლდება მკვდარი,  
სულის წარმწყმედი ბედი  
შეიმუსრება ჯვარით.

არ გაგებზაროს ჯვარი,  
რომელიც ღვთისგან გერგო,  
თორემ იწრთობი სხვა რით  
სასუფეველის ნერგო?!

შენ მანდ ილოცე, აქ – მე,  
რომ შემსუბუქდეს ჯვარი,  
ოდონდ აღსრულდეს საქმე,  
ღვთისთვის რაც სათნო არი...

ვით ნიადაგი სინჯვას

მოითხოვს, ვიდრე დათეს,  
ესრეთ ღვთის საქმის წინ ჯვარს  
იძენ, გვარწმუნებს მათე.  
**დავით კიკვაძე**

## **სახარების მახარობელნი**

მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე –  
ოთხი მერცხალი – მახარობელნი –  
ერთი უსასრულო, მარადიულ გაზაფხულისა...

## მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი

### წმინდა ნინოზე ახლად თქმული

ღვთის სიტყვის მქადაგებელო,  
წმინდა მოციქულთ მომდევნო,  
ანდრია, სიმონ, მატათას  
საქმეთა გამგრძელებელო,  
საყოველთაოდ მოსულო,  
ყოველისთვის მახარობელო  
იესოს სახელისაო;  
ქართლისა მომაქცეველო,  
ქრისტეს გზად დამყენებელო,  
ახალ ცხოვრების მომცემო,  
უფლის ვნებათა განმცდელო,  
ჯვარზედ გაკრული ძისაო,  
ჯვრის გულში ჩამხუტებელო,  
ადღვომის ღვინის ურუოლაო, –  
ჩვენიცა განმაბრძნობელო,  
სამოძღვრად გამოგზავნილო,  
სათნო ღვთისმშობლისაო,  
ძილში-ღვიძილში ფხიზელო,  
ჯვარაპყრობილო მორჩილო,  
ჯვარისა, ვაზის რქისაო, –  
სავენახოში ნერგულო,  
აღმომცენარევე გაზაფხულს,  
ჯვარო, აღთქმაო ქრისტეანთ,  
იბერთ შტოს გამნედლებელო,  
სვეტო საყრდენო მარადის,  
ვიდრე კაცს სული გვიდგასო;  
მეფის და დედოფლისათვის  
მესო-ტეხის შემჩერებელო,  
პირისპირ შეყრილ განსაცდელს  
სასწაულებრივ მომრევო,  
მზიანი გამოდარებით  
მარადიული ცხოვრების,  
მზითა მუდმივით მნათობო  
სულიერისა სინათლის;  
ქართველთა თვალთა ცისკარო,  
ძნელ გზაზე ჭირის დათმენით  
ძალისა მაჩვენებელო,  
შესმენილ ლოცვის შედეგად  
ცრემლ-ფრქვევით დამყუჩებელო,

ოდეს სამთავროს მღვიმეში  
დაიდევ ლოცვის საგანე;  
ქართველისა ნუგეშმცემელო,  
ერთგულად ქრისტეს მიყოლით,  
მისთვის მხურვალედ მეოხო,  
მოციქულთ სწორო ნინო,  
ქალწულო მახარობელო,  
ერთიან თხოვის მიმხვედრო,  
მტრისა მომსრველო, დამცემო,  
თაემდაბალთ გამომრჩეველო  
დღეისადღემდე, ყოველთვის,  
შენ ჩვენგან უშორებელო,  
ჩვენი შენისკენ მომხმობო,  
სამკვიდროს მაყვარებელო, –  
წალკოტად გექცეთ – ჩაგვესმის,  
ჩვენზედ უწყვეტად მზრუნველო,  
ურჩი შეილთა ზედა მლოცველო,  
დაშლილ, გაშლილთა მომკრებო,  
მთლიან ყოველის ერთობით  
ჯვრით შენით მაერთებელო,  
ერისა ჯვრით დამლოცველო,  
ჯვრითა, ვაზისა ჯვრითაო,  
რტოთა, შენი თმით შეკრულით,  
ჟამთა ცვლით მრავლის მნახველო  
ქართლისა წამებისაო,  
სიღრმით დუმილით მშობელო,  
სულისა მომწყუდროებო,  
მძიმე დროების გაძლებით  
კვლავ გზისა მაჩვენებელო,  
ერთიან ჩვენო წამდლოლო,  
სიტკბოვ და სიღბოვ, იმედო,  
ნადვლისა გამქარვებელო,  
ჭრილობათ მომშუშებელო,  
საღმობათ დამწყნარებელო,  
ჩვენთვის მარადის ვედრებით  
სიხარულ აღმომცენებო,  
მლოცველთა გულის მცნობელო,  
ჭეშმარიტების სწავლების  
აზრად და არსად ჩენაო,  
ცხოვრების ჩვენის ღხენაო,  
თხოვათა ჩვენთა მიძღებო,  
ლოცვათა შემასმენელო,  
კერპთა ვით ვაზის ნასხლავთა  
ზედმეტად მიმნიშნებელო,  
ერთგულო მევენახეო,  
ვაზისა ამტირებელო,  
ცრემლებით სინანულისო,  
სულიერ თვალ-მარგალიტის

დამტევან-დამყურძნებელი,  
კვლავაც განგრძობით ცხოვრების  
წარმართველი და მშველელი,  
ბნელისგან გამოტაცების  
მსურველთა გადამრჩენელი,  
დამრწყულებელი ყვავილნართ,  
მომფერებელი ყოვლისო,  
ტაძრად შექუქულ ქართველთა  
გარეშისაგან დამცველი,  
შინაურის თუ მომხდურის;  
მლოცველო მათთვის, უცხოსთვის,  
შემოსვლის პირველ დღიდანვე  
უწყებდად მომლოდებელი,  
გზად ჯერ არ გამოჩენილთა  
მაინც მომხმობო, მლოცველო,  
ჩვენისა მიმყვანებელი,  
საუფლოს კარიბჭესთანო,  
დიდის გზის მიმასწავლელი;  
შენთა შვილთაგან მიიღე  
ამაგის დაფასებაო,  
მუდამ ქომაგად გვეგულვი,  
ვინც ქრისტეს გვაზიარეო,  
ვინც ეს იღუმალ ცხოვრება  
სიკეთის ქმნითა ვცანითო;  
ქალწულო მახარობელი,  
მოციქულთ სწორო ნინოო,  
ნურცა მწეობას მოგვაკლებ,  
მოვსულვართ სადიდებლადო,  
ვინც ჩვენი მრუდე ცხოვრება  
გამართე ქრისტეს გზისადო!

## მაკა გელაშვილი

\* \* \*

ფეხშეველა რად ხარ?  
არ გაცივდე, დარდად არ მექცე,  
დანოქილი ვარ, ემოციას  
გულიდან ვიხსნი...

ფეხშეველა ნუ ხარ,  
ნალურსმები არ გამიზებდეს...  
თმა გავიზარდე, რომ ჭრილობას  
მოგწმინდო სისხლი.

ყინავს... ქარია... შეცივებული  
კწუხვარ და კწუხვარ...  
ავად არ გახდე, არ მადარდო,  
ფეხშეველა ნუ ხარ...

## ნიკა ფუტკარაძე

### ოშკის ანდერძი

დავბერებულვარ, ნაოჭებს ვითვლი  
და კვირტებივით ჰყვავის ჭაღარა,  
ვაითუ, ფესვში სიკვდილი მიზის,  
თუმცა ამდენი ხანი მატარა.

თუ კურთხეული ვარ ქართველთაგან,  
ძვლებში რად მამტვრევს მაშ, ნოსტალგია?  
ქართველო, შენი წინაპრის კვალი,  
ტაო-კლარჯეთის მიწას ატყვია.

მე ვინ მომირჩენს დროის ნაქუხარს,  
ვინ დამიამოს დარდი, ფიქრები...  
და სანთელივით ერთ დანთებაზე,  
ნელ-ნელა სევდის ალით ვიწვები.

ეჰ, ჩემო მიწავ, რწმენის საუნჯევ,  
როგორ შორსა ვარ ქართველებისგან  
და თურქის ხელში ღამის მეჩეთი –  
ბნელ ღამესაგით დამიძმობილდა.

ამას წინ ვნახე ჩემი ქართველი,  
ჩუმად და მალვით კედლებს ჰკოცნიდა,  
მაშინ ვიგრძენი, დღემდე ქართველში,  
ძალიან დიდი რწმენა ყოფილა.

გამთენიისას ჩამესმის ხმები,  
რომელიც ძილშიც უმაღ მალვიძებს,  
რამდენი ხანი ვსაუკუნდები,  
ცრემლით ვიხსენებ მინდვრის ყვავილებს.

გამაკრეს ჯვარზე, ჭვარტლში მახრჩობენ,  
ხან მაწამებენ, ხანაც მანგრევენ...  
და ქართველები დადუმებულნი,  
ცრემლით ალტობენ ტაძრის ნანგრევებს.

ღამის გავთურქდი. ენით ვბორძიკობ...  
იქ, ჩემს მიწაზე, მეჩეთებს ვხედავ,  
ვაი, ტკივილო! და ვაი, შიშო,



ჯობია ერთად ადამი გერქვას.

აიღეთ ხმალი! აღმართეთ დროშა!  
დროა, ვიბრძოლოთ ჩვენი განძისთვის,  
ყოველდღე ჩვენს გულს დაცემულს ვხედავ,  
დრო მესურება შავი ჩადრივით.

შენ, ჩემო ჭკვიანო, ლამაზო ქართველო,  
მოდო და აღმართე ქართული დროშა,  
არ მიმატოვო, მომიდე ხელი,  
თორემ მეც ლამის თურქულად გლოცავ.

გადარჯულდით და დაეცით განა,  
ვინგრევი, თქვენი ბებერი ოშკი  
და როცა მოხვალთ ჩემთან, იცოდეთ,  
დაგხვდებით მხოლოდ აგური ორი.

ისმინე ქართველო, ანდერძი ესე  
და მოსვი სიმწარის ჩემი ფიალა,  
გიგზავნი ცრემლებს, გიგზავნი ლექსებს,  
რომ გულისგულთან ჩამოგიაროს.

აღბათ თქვენს გულთან მოვა ეს ლექსიც,  
გამოიღვიძებს ქართველი ერი,  
გახსოვდეთ, ოშკთან უფალი გიცდით...  
და მომავალი სვებედნიერი.

## მაია დიაკონიძე

### წმინდა ნინოს!

დედაო წმინდა, ნათელო დღისა,  
ცისკრის ვარსკვლავო, გამტეხო ბნელის,  
გარდმოავლინე ჩვენთვის ღოცვები,  
შენი შვილები შეწვენას ველით.  
თვალების შუქით შერისხე მტერი,  
ფიცის გამტეხნი დაეცი დაბლა,  
რომ ქრისტეს ჯვარი სულ გვეპყრას ხელში  
და რწმენით სავსეთ ვერ ვიგოძნოთ დადლა.  
კერპთთაყვანცემის აღგავე ძეგლი,  
ურწმუნო გული აანთე შუქით,  
ჩვენთვის ნადირობს მეფე მირიან,  
რომ დაამარცხოს ფერები მუქი.  
სათუთად ვუვლით შენს ნატერფალებს,  
დედა მარიამ გვაფარებს კალთას,  
შენ დაგვილოცე ვაზის მტევნები,  
ერთი ნერგიდან მივიღებთ ათასს.

## დავით გაბუნია

### სვეტიცხოველი

ათასი წელი ისმის რეკვა შენი ზარების,  
ერის სულიერ სიდიადის სიმბოლოდ იდექ!  
ბარბაროსები აწყდებოდნენ მამულს ზვაგებად  
და შენი ქვეყნის სატკივარი ბოლომდე ზიდე!..

ო, ვინ ჩამოთვლის ურჯულთა დაუნდობლობას,  
შენ უქარქაშო ხმლებს მიენდე და ციურ სიბრძნეს...  
განამტკიცებდი დასაბამით ერის ობლობას  
და ვზომავთ შენი შემართებით დროსა და სივრცეს...

ვერც ყაენებმა დაგაჩოქეს, ვერც თემურლენგმა,  
ქრისტეს სულიერ სიდიადეს ბოლომდე ენდე!..  
თუმც გაწყდებოდნენ ქარიშხლები მღვრიე და ლეგა,  
ბზარი არასდროს გასჩენია შენს მაღალ კედლებს!

ხარ აზიდული საუფლოში მეშვიდე ზეცის,  
ხან მზის ამოსვლას ეფერები, ხანაც დაისებს...  
შუქი გედვრება ჩანჩქერებად ოქროს და ვერცხლის  
და გაფენია ღვთიურ ნების სიდარბაისლე...

## ელდარ ჭიჭიაშვილი

### ფანდურო...

რა ლეგენდებზე ჟღერტულე,  
ჩემო ჰანგო და ფანდურო,  
ღამის მესრეო, ფხიზელო,  
ცისკრით თვალამობანგულო?  
გალობ და უფლის ჩიტივით  
გულთან მიკენკავ ტკივილებს,  
ხან ცრემლით იბან ფრთა-ნისკარტს,  
ხან ლაჟვარდებში ლივლივებ!  
ხან მიწას ებმი სახნისად,  
მიუთხრობ ერქვან-ჭაპანთა:  
რა ტკივილები იარგნეს  
იმქვეყნად მამა-პაპათა!  
ახლა ჩემი ვთქვათ სათქმელი,  
ბედო, ლოდინით ნაბურო!  
ხან შევბას ვექცეთ ტკივილად,  
ხან ტკივილს მივესალბუნოთ!  
ერთი ხარ, ჩემო უფალო,  
ჩემო შევბავ და ტკივილო,  
თუ ატირებულს გიხილავ,  
მე როგორ ვიპირდიმილო?  
მე შენი ბერიზვარა ვარ,  
პატარა ხბო ვარ, სახარე,  
შენ – ჩემი წმინდა საყდარი,  
ჩემი ხატი და საზარე.  
დედას ამსხლიტეს ძუძუდან,  
ცრემლი იმედით ვაქარვე,  
ყელს საკადრისი შემბებს,  
შენს კალთას შემომაფარეს,  
ქედმოდრეკილი გეახელ,  
ჩემო ლოცვაჲ და არაკო,  
გულის ლუსკუმა გამიპე,  
რომ სისხლი შემოგზვარაკო!  
გადმოსკდი გულის ბარძიმით,  
სისხლო, ჯვარ-ვაზის ბჭიანო,  
რომ მამა-პაპის ფერფლისკენ  
სიცოცხლედ გაიმზიანო!

წინ დამიფინე ნათელი,  
უფლის ბილიკო, ბზიანო,  
რომ მერე პურ-ღვინის მადლში,  
ქრისტეს სისხლს შევეზიარო!  
ან მზარდე შეინდა ხარივით,  
მიმზადე გუთან-სათარი,  
ქედზე უღელი დამადგი,  
მუხის გულისა ნათალი!  
შენი ტკივილი ვლოღნო და  
ცრემლის გილოკო მარილი,  
მთას ვზიდო ღოღი სატაძრე,  
ვაბრწყინო შენი არილი!  
კარგ ყმას ვეცალო უღელში,  
ჯვარცმით ავლიო გოლგოთა,  
რომ სასოებად ვესაგზლო  
სოფლის ქვრივ-ოხერ-ობოლთა!  
მერე კი... მერე სიცოცხლე  
გასრულდეს, როგორც წესია,  
შვილიშვილებმა მოიმკონ,  
პაპას რაც დაუთესია!

## შოთა ტოგონიძე

### სამყაროს შენი იმედით ვხედავ

მე მზის ამოსვლას ყოველდღე ველი,  
მინდა მიწაზე რომ ვიდგე მყარად.  
სულით, სხეულით და სამშვიდობო,  
უფალო, შენსკენ მოვილტვი მარად.  
არაა ბევრჯერ ცხოვრება ამო,  
სიმი უწყდება ხანდახან ებანს;  
ვბორძიკობ ხშირად რაღაცის გამო,  
მაგრამ არ მაძლევ წაქცევის ნებას.  
შენით ვაღამებ თუ ვხვდები დილას,  
იქ მივალ სადაც შენ მიგეღიან;  
ათას წვრილმანში ვპოულობ იმას,  
რაც წმინდაა და შენმიერია.  
ჩემ ზემოთ შენი სამოსახლოა,  
მაინც მოვდივარ მათოვს თუ მაწვიმს;  
შენამდე ხშირად ისე ახლოა,  
რომ ვეღარა ვგრძნობ ჩვენ შორის მანძილს.  
სამყაროს შენი იმედით ვხედავ  
და ვებრძვი მუდამ მტერსა და ართვალს;  
ჭეშმარიტების შენა ხარ დედა,  
შენ მარჩევინებ მტყუანს და მართალს.  
ვინ იცის, სულს და ხორცს როდის გაჰყრის  
დრო, რასაც შენი ნათელი შვენის  
და შენგან შექმნილ ამ დიდ სამყაროს,  
არ მოჰკლებოდეს წყალობა შენი!

ღონა კოლხი-ნარმანი

შენ ამბიონზე იდექი!

*საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონს*

შენ ამბიონზე იდექი და ღოცულობდი მხურვალედ!  
ცა იმღვრეოდა მამულის, იგრაგნებოდა ღრუბელი!..  
შენ ამბიონზე იდექი ზეცისკენ ხელადმართული  
და ღმერთს ესმოდა დაღადი – ღოცვა-კურთხევა ქართული...  
ჯარი მოადგა ურიცხვი თბილისს, მარტყოფს და მახათას,  
მოჰქონდათ დროშა წითელი და მოუძლოდა ჩაღარატ!..  
სისხლის მორევში სცურავდა: დაბა, ქალაქი, სოფელი,  
და დასახლოდნენ ყორნები მიწას გვამებით მოფენილს...  
მოგადგნენ ბარბაროსები, კაცმა გულისთქმა დასძარი!  
შენ ნაწილ-ნაწილ აგკაფეს და ზედ დაგამხეს ტაძარი!..

## ქუქუნა ხაჯიშვილი

### დიდება უფალს!..

დიდება უფალს! ნამუსრი ძმები  
კვლავ იხსენებენ წმიდა გიორგის...  
ისევ გაბრწყინდა კაზმული ქვები  
ნეტარი ცრემლით სხალთის დიოფლის.

ისევ შემოჰყვა სამხრეთულ ქარებს  
საკმევლის სუნი, ლიტანიობის...  
და ბნელ ქონგურზე ნაგვემი მთვარე  
გამოკრთა, როგორც სული იობის...

დღე დაიწმიდა ღამის ღოცვანით,  
დაჰყვა ხევ-ხევებს ღამეთა კუპრი,  
ხირხათის ქედზე ძე – თოროსანი  
ქათქათებს, როგორც ნაფლეთი ღრუბლის.

იციან ჩემმა გულჯავრა ძმებმა –  
მაღია მისი ფარი და შუბი! –  
და სიკვდილითა სიკვდილის ძღვევაც  
ძველია, როგორც კურთხევა უფლის.

დატეხილია ვადაში ხმლები,  
მტერი თარეშის სურვილს იოკებს  
და აჭარლები – ნამუსრი ძმები  
კვლავ იხსენებენ წმიდა გიორგის!..



## თეიმურაზ ქორიძე

### საქართველოში მოწამე ქართველის სიკვდილის წინა ამოძახილი

„ჩვენ სულელ ქრისტესთვის, ხოლო თქვენ ბრძენ ქრისტეს მიერ; ჩვენ უძლურ, ხოლო თქვენ ძლიერ; თქვენ დიდებულ, ხოლო ჩვენ გინებულ“. (I კორ. 4, 10)

ქრისტესთვის სულელს, სამშობლოსთვის გიჟი მიწოდეს,  
სულში მეღვრება სისხლად ჯვარზე გამსკდარი გული.  
მიჯობს შენს მიერ აღუღებულ კუბრში ვიწვოდე  
ვიდრე მახრჩობდეს მოურჩენელ ღალატის წყლული.  
და როს მოგწყურდეს ჩემი სისხლი დალიე პეშვით,  
არ მენანება სტუმრისათვის, თუმც მტერი ხარო.  
მინდა იცოდეთ! მე სამყაროს იმ მხარეს ვიშვი  
სადაც დედის რძეს თვით ღირსების გემო აქვს ძმაო.  
სადაც ყოველთვის გულმტკივანი დადის პოეტი,  
სადაც ყოველთვის ბრძოლობ რადგან იბრძოლო კვლავაც.  
მოუშუშებელ ტკივილთაგან დასერილ მკერდით  
დამაქვს სამშობლო, ვიცავ მოყვასს და მტკივა ჯვარცმა.

შენ ვერ მიგებ და გულზე მაყრი ზიზღით ნაკვერჩხალს,  
მწარედ კენესარებ: – რა ძალა აქვს ასეთი ქრისტეს?!  
– ხორცს ცეცხლში გიდნობ, ქვათა ცემით გილეწავ ყვრიმალს  
და ტკივილს მხოლოდ ერთი სიტყვით – მადლობით – იტევ.

მიწის სუნთქვაა ნისლეზად რომ ატყვია მყინვარს,  
ცრემლთა დენაა ოდეს მიწის ცვარით სველდები.  
შვილის სისხლთაგან გაცხელებულ მიწის ოხშივარს  
გულს უგრილებენ განთიადზე ჩუმად დედები.  
ასე რად გიკვირს, ცის და მიწის კაცთან ერთობა?  
ან ყოველ სულში ღმერთი როგორ ვერ შეიცანი?!  
აქ ბრძოლის ჟინი სიყვარულის ცეცხლში იდნობა  
ხმალი გულია, ფარი კიდევ გულის ფიცარი.  
და შენ ურჯულოვ! თუ არ გესმის გიჟი მიწოდე,  
თუ ვერ გაიგე ქრისტესათვის დადრეკა ქედის,  
მაშ, ცეცხლში დამწვი, გამატყავე, მაგრამ იცოდე,  
შენს ხმალზე უფრო, ჩემი სისხლი მოქმედია მეტის.  
შენ ისიც გიკვირს მეტეხთან რომ მზეა წითელი,  
გიკვირს კრწანისთან მთვარე როგორ ნასისხლარია.

ქრისტეს სისხლია, მოწამეთა სისხლი ქართველის,  
ბარძიმი მისი ვერ დაცლილი კაპილარია.  
შენ ვერ გამოგებ, ამიტომაც შენთვის ვარ გიჟი  
და საგიჟეთი არის ჩემთვის შენი მახვილი.  
მე ერთადერთი – ჩემი ქვეყნის ტკივილი მიჭირს,  
მისი ოხვრაა – ჩემი სუნთქვა, ჩემი ძახილი.  
ვიცი ჩემი ხმა გტანჯავს, დროა დაღვარო სისხლი,  
დაღვარო რადგან სიყვარული გულის არ მეტევა.  
და შენს წინაშე ქრისტესათვის დახრილი კისრით  
ჯერ ცოცხალი და მერე მკვდარიც – შენზე მეტი ვარ!

„დიდება უფალს“ – მხოლოდ ამის თქმადა მოასწრო,  
გაცხოველებით, ნაკუწ-ნაკუწ დაუწყეს ჩეხვა.  
იქცა სხეული უკვდავების სისხლიან წყაროდ  
და ანგელოსთა ცხრავე დასი გარს შემოეხვა.  
და უკვე მკვდრისთვის როცა გული უნდა გაეპო,  
შეერთა ურჯულო, მის ცხედართან თვალცრემლიანი,  
მკვდარი ქართველის სხეულიდან გული აიღო  
და ნახა – ჯვარზე გაპყრობილი ადამიანი.  
ატირდა, მიხვდა რითაც იყო მცირე ქართველზე,  
დიდება შენს ღმერთს! – სისხლიანი ცრემლებით ბლავის.  
მარადისობის სისხლით მორწყულ ამ წმინდა ველზე  
ამ ქართველივით, მასაც მოსჭრეს ქრისტესთვის თავი.

გიყვარდეს ნიშნავს – მე შენს გამო სიკვდილიც მინდა,  
თავგანწირვა ხომ ეს ყველაზე დიდი ნიჭია.  
თავისი სისხლით, თავის სულის გზა გაიწმინდა  
და ქართველივით ახლა ისიც სხვისთვის გიჟია.

ვიცი სიყვარულს ვერასოდეს გაუპობენ მკერდს,  
რადგან მხოლოდ მას მორჩილებენ ქვეყნად წამები.  
მხოლოდ შენ გეტრფი სიყვარულო, შენ იმ ერთადერთს  
რისთვის სიკვდილსაც – სიხარულით დავეწაფები.

## ციური თარგამაძე

### ნატვრა

უფალო, მოველ, არ ვიცი როგორ,  
ბალახად მოველ, ამქვეყნად, სიპზე...  
კლდე ვხვრიტე, რათა სიკეთე ვზოგო,  
ამოვაბიჯე უფსკრულის პირზე.  
არავინ მყავდა გამგები სულის,  
კლდეთა სიმძიმე ავწიე მარტომ,  
არ მცნობდა არვინ (სძულთ მარტოსული),  
ცივია სივრცის კლდოვანი პლატო.  
მაინც ამოველ სათნო ბალახად,  
სიკეთით ვძლევედი გასიპულ მიწას,  
სუსტი ვიყავი, ქარმა გამლახა,  
უფალო, მხოლოდ იმედი მიცავს.  
რომ ბედისწერამ გული ითრია,  
ყველას ეგონა ღირსი ვიყავი,  
ეს გული ახლა ცეცხლად მინთია,  
ყაყაჩოსფერად ცეცხლი მიყვავის.  
დღეს მრავალ ქართველს დააქვს იარა,  
დღეს საქართველო თავად დაჭრილა,  
გულზე ტვიფრებით გადამიარა  
ძულვებამ, გესლმა ცამდე აჭრილმა.  
გამოვიარე ქარიშხალები,  
შემიპყრო სასტიკ სასოწარკვეთამ,  
უფალო, გიცქერ გულის თვალებით,  
მიცნონ, ამ იმედს ნუღარ წარმკვეთავ.  
ქვეყანა, ჩემებრ, დღეს დაღლილია,  
დაკორტნილია ირგვლივ სვავებით,  
დაბნეულია, დაგესლილია,  
გზების სიბნელით, ათას ვაგებით.  
მე სათნოებით ვძლიე კლდის სიცივს,  
ის გადავმაღე სულის ბინაში,  
ნუ გამაგონებ მზაკვართა სიცილს,  
ნუ დამაჩოქებ ეკალთ წინაშე.  
სამსხვერპლოდ გული მომიტანია –  
(თუმც არ აქვს ძალი სამშვენიერო),  
ამ გულის ცეცხლით სათნოს, დარდიანს  
რომ გზა ვუნათო საბედნიეროდ.

## შავლეგო არაგველი

### ლაზის გოდება

*შენ, ჩვენო თანაძირო, თანაფესვო, თანაჯიშო, თანაჯილაგო, თანამოდგმაგ,  
თანაენაგ, თანასისხლო, თანახორცო, თანაარსო, თანაგულო, თანასულო,  
გაყოფილო განუყოფელო, ნანინანატრო და მოურჩენელო ტკივილო ჩვენო.*

ლაზი ვარ სისხლით ქართველი,  
ნეტავ რას მატყობთ თურქისას,  
თვალეში მედგა ზღვის ფერი,  
შავმა დრომ გამიმუქისა.

სისხლის წვიმები მაწვიმეს,  
ჯვარს მაცვეს ქრისტე მაცხოვრის,  
სამშობლოს ძუძუს მომწყვიტეს,  
ქართველთა ძირძველ საცხოვრისს.

ჩემს სახლში მდგმურად მაქციეს  
მკვლელი გამიხდა მსაჯული,  
ქრისტეს ტაძრები მინგრის,  
შემაცვლევინეს წეს-რჯული.

და თუმცა მტერმა ვერაგმა  
ძირ-ფესვიანად გამთელა,  
ენა ვერ გადამავიწყეს,  
ქართველი დავრჩი ქართველად.

დღეს უცხო ქვეყნის გერი ვარ,  
ვარ, როგორც ზღვაში მეჩეჩი,  
ტაძარში ქრისტეს კი არა,  
მაჰმადს ვადიდებ მეჩეთში.

ნუთუ არ ფიქრობს თბილისი –  
დედა ყოველთა ქართველთა  
ძალით რჯულშეცვლილ ლაზების  
კვლავ ქრისტეს რჯულზე მოქცევას.

მე ჯერაც მომდგამს ქართული  
ენა, სული და იერი,  
ჯერ კიდევ გულს და სისხლს მითბობს  
მოყვასი სისხლისმიერი.

ვშიშობ, ვაი თუ ჩემს მოდგმას  
ამოუშანთონ წარსული,  
ვაჟს დააფიწყონ ღაზობა,  
გამიოსმაღონ ასული.

თუ არ გვიხსენით ღაზები  
სასიყვარულო არხებით,  
ენასაც დაგვაფიწყებენ,  
თურქ-ოსმაღონი გავხდებით.

შენ გევედრები, ჯვარცმულო,  
მიწა ღაზ-ქართველ-ივერთა  
კვლავ დაუბრუნე სამშობლოს,  
დარჩენილს შენდა იმედად.

## ბესიკ ზაალიშვილი

### ღუღაბი

შიშველ ლოდებს ედება  
ხავსი ამა ცხოვრების.  
გაიჟღინთა შეგნება,  
სენით გაუცხოების.  
სიცხიანი ნათება,  
მიწას როგორც ანთება,  
ოქროდ გადაადნება.  
ლექსი, ვით მისტერია  
განწირული იკივლებს,  
თვალეები მისტირიან,  
შეჯერებულ ბილიკებს.  
გზას ვერ იგნებს ღამეში  
მტვერის კორიანტელი,  
რომ არ იყოს სიბნელე,  
აზრს დაკარგავს სანთელი.  
კაცის, როგორც კოცონის,  
ხდება მიწად მიქცევა.  
თბილი ცეცხლი კარგია  
სანამ ხანძრად იქცევა.  
სხეულში ვერ ეტევა  
ის სუფთა და საჩინო.  
ჩემში უფლის ნაწილი  
უნდა გადავარჩინო.  
სიყვარული სიძულვილს  
გამოუტანს განაჩენს,  
ელის ძველი მსოფლიო,  
ისევ ახალ ღამანჩელს.  
ერის მკვრივი ღუღაბი,  
ნინო, შენი თმებია,  
საუცხოო მხარეში  
ჯვარს რომ შერთმებია.

## შორენა ჩახნაშვილი

### ჯილდო

ჩვენ გვეჩქარება ყველაფერი და... ვიგვიანებთ...  
გვემდურიან და ჩვენ კი უცხოთ ვძრახავთ და ბრალს ვდებთ,  
ასე დაგვცინის ბრმა სოფელი თანაზიარებს  
და გვატრიალებს თავის ჩარხზე სიცოცხლის ზღვრამდე...  
ზოგჯერ ტანჯვაში ვპოვებთ შევებას და ნეტარებას,  
ხან ოცნებებსაც მოემსხვრევა ზღაპრული ფრთები,  
მაშინ გვბეზრდება ტყვიადქმნილი გვამის ტარება,  
ჭეშმარიტების ცნობის ღირსი როდესაც ვხდებით...  
და ის ნაბიჯი, უმეტესად რაიც გვემძიმა,  
ის ქარაფები, წავამტვრიეთ რომელსაც ქედი,  
ყოფილა ჯილდო და თავი რომ არ გაგვეწირა,  
ღვთიურ სიკეთეს არ გვიზღავდა ჩვენ შემოქმედი...  
იძულების ასე, თურმე, სასუფეველი,  
ღრმა მოცადების მერე აღებს უფალი კარებს,  
ჩვენ თუმცა ვჩქარობთ, სულ არ ჩქარობს მეფე-მძღვეველი,  
საცალფეხოთი სავანისკენ როს მიგვატარებს!..

## მაია მახარაძე (ია ჯიათელი)

### წმინდა ნინოს ჯვარი

რწმენა მოდის გოლგოთიდან,  
სინემადან ოდით,  
რომ დაგვიხსნას ცრუ რწმენისგან,  
ვაზის ჯვარით მოდის  
კერპთამსხვრევის მახვილი და  
უმეცრების ცეცხლი,  
მოდის ბრმათა თვალისჩინად,  
დასამხოზად ვერცხლის  
ის, ვინც ვაზი საკუთარი ნაწნავებით  
ჰქმნა ჯვრად,  
ვინც გაეგლო არმაზ – გაცის უსაღვრობას,  
საზღვრად,  
ვინაც ქართველთ სულში კოდი  
ჭეშმარიტი ჩადო,  
მინდა მასვე, მისივ ვაზის  
ღერწით ჩავეზარდო...  
მინდა მისებრ ჩავიღვარო სისხლში  
ქრისტეს რწმენა,  
წმინდა ნინო არის უფლის  
სამეტყველო ენა,  
წარმმართათვის სიზიფეს გზის,  
ღვთისებრ შეძლო ახსნა,  
ახლა თომაც და იუდაც,  
თავად ითხოვს ჯვარცმას...  
ვაზის ჯვარო, ნინოს სული  
გაქანდაკებს ჯერაც,  
ვითარც უფლის, კვალი მისი,  
არ წაშლილა წყალშიც  
და ეს კვალი, უკვდავებად,  
სულთა ამღერებად,  
გზას მიჰყვება იესოსკენ,  
რომ არ დაგრჩეთ ვალში...  
ვალში, რასაც მომავლისთვის  
ტადრისგება ჰქვია,  
შენ ხარ ნინოვ ზეცა ცისკრის,  
მზე, რაც გვინატრია,  
შენ ვაზისჯვრით, „სპილენძის კაცს“,



ქრისტეს რწმენა უძღვენ,  
არ ელოდი ღვთის საფასურს,  
არც ადრე, არც გვიან  
დაერდომილთა სულიწმინდავ,  
მოციქულთა სწორო,  
კერპთ უპოვე აქილევსის  
ქუსლიცა და გულიც,  
დღეს არვინა, ქარს სთხოვოს და  
პირქვე გაასწოროს,  
ვაზის მთხრელნი, ჩემს მიწაზე,  
მე რომ ასე ვუვლი...  
შენი რწმენა, დღეს რომ გვეყავდე,  
სისხლს და ცრემლებს აღგვის,  
როგორ მინდა ნაწნავს ვწნავდე,  
უსისხლცრემლოდ, აკვნის...  
შენ ისხენი ყრმათა სული  
არმაზ – ზადენისგან,  
ვისაც წვავენ ნევნ  
და ფერფლს იმათს,  
ზედ აყრიდნენ ღვთის კარს...  
ამ საზარელ ცრუ რწმენისგან,  
დაიფარე ნინოვ,  
სეფე – წულნი, პირმშონი და  
ქრისტეს კვართით მოსე,  
აპკურებდი თვით დემონებს,  
ღვთის სახელით მირონს,  
მოვა უამი და სამებას,  
ბრმაც იხილავს ოდეს...  
ის რაც ღმერთსა არა სურდეს,  
არ იქმნების, მწამს მე,  
ჯვარი ვაზის მიწას ზედა,  
ჰფენდეს უფლის ნათელს  
და სახელი, ნინოჯვარი,  
იქმნეს ნათლის განცდად,  
ნინოვ, წმინდავ! სწორედ შენით,  
კერპთა რისხვა აგვცდა...  
შენ აქციე „ვინად“, „რანი“,  
საკმეველის კერავ,  
იქმენ ივერთ სავანედ და  
სამკურნალო ბინად,  
დაკარგული იოგების  
აღდგენა – სიმღერავ,  
ეს შენა ხარ, სხივივით რომ  
სამრეკლოზე ბრწყინავ...  
ეს შენა ხარ, კვართისკალთა  
ვინაც ქვაში ჰკვეთა,  
ვინც შრიალი დიად რწმენის,  
ხეთა შრიალთ ხმად ჰყო,

ვინაც დედა საქართველოს,  
მეკვლედ დაებედა,  
ვინც იესოს ჭრილობაში,  
გული წამლად ჩადო:  
მინდა მისთვის ვილოცო და  
სახე მისი ვხატო  
სახედ ჯვრის და საქართველოს  
ხავერდოვან ფერად,  
ჩემი ბადის ვაზის ფესვი,  
ყლორტში იმედს აწრთობს,  
ივერთ ერის აღდგომის და  
აღმაფრენის მჯერა...  
უწმინდურთ ღვთიური შუქით,  
უდაბნოს ბზის ტოტით,  
მოსავდი და იმათ რწმენას,  
„ბუძუს წყაროთ“ რწყავდი,  
მე შენს უდრეკ ქალობას და  
ქრისტეს ვუხდი ბოდიშს,  
ტანჯვასა და ჟამს ჯვარცმისას,  
გვერდით რომ არ გახლდით...  
შენი მზერის ჰორიზონტი  
საქართველოს არე,  
არის შენივ წმინდა სულის,  
სულისთქმა და სუნთქვა,  
წმინდა ნინოვ! ცრემლს დავუშრობ  
ვაზის მტირალ თვალებს,  
ცას გავეხსნი დედამიწის  
შეკრულ სულისხუთვას...  
მეც შენსავით ღვთის წერილად  
ვიქცევი და მისთვის  
თუ დავჭირდი არ დავზოგავ  
შენებრ თავს და რწმენას,  
ის, ვინც იბრძვის ჭეშმარიტი  
და ღვთიური გზისთვის  
არის თავისი სამშობლოს  
სადგოთ დედაენა...  
ხეში ჩუქურთმის და ქვაში,  
არის რწმენის მკვეთი  
ის, ვინც არის დემონთა და  
იუდათა რისხვა,  
არვის სწამდა, წყალზე გაველა,  
ნავში ნოეს მტრედი,  
ურწმუნობით მცირე იყო, შენით  
ვუმზერთ დიდ ცას...  
შენს ჭეშმარიტ რწმენას ღვთის გზა,  
„არმაზმაც“ კი მისცა,  
მირიანსაც აუხილე  
დაბინდული თვალი,

უმეცრებით ოდეს კერპთა, ახლა  
ვუმზერთ ღვთის გზას,  
არა მარტო საქართველოს  
გაუღე ცის კარი...  
ვაზისჯვარი სულისტაძრის,  
სვეტებად შენ მართე,  
უფლის მადლით შეუფოთლავს,  
ვაზს ნაწნავი შენი,  
შარავანდელის სხივები გეფინება  
მართვედ...  
ვით ქალური სინაზე და ვით  
დედობა, გშვენის...  
ცას და დედამიწას შორის, გზას  
არავინ  
კვალავს.  
გამჩენელო მიმასწავლე, გზა მშვიდობის,  
რწმენის,  
არ მსურს დარჩეს მიწას კაცთა სისხლი,  
აწ და მარად,  
მასწავლე, რომ შევძლო ახსნა,  
საიდუმლო ენის...

## ღია ჭაბაშვილი

### წმინდა ნინოს მადლით სუნთქავს საქართველო

წმინდა ნინოს მადლით სუნთქავს საქართველო,  
მის მადლის ქვეშ იკვებება ქართლის გული,  
მოკამკამე, მოხასხასე, როგორც ბროლი,  
თბილი, თბილი, როგორც თონის დედას პური.  
წმინდა ნინოს მადლით სუნთქავს საქართველო,  
ქერუბიმთა, სერაბიმთა კვლავ სადგომი,  
ფრთხილება მათი, გულში იმ ნათელს ჰფენს,  
წმინდა ნინომ, რომ მოჰფინა ყველას გულში.  
წმინდა ნინოს მადლით სუნთქავს საქართველო,  
მისი მადლი განფენილა, მთელ სივრცეში,  
წმინდა ნინოს სიცოცხლე და სიხარული,  
გასჯდომია ქართლში მცხოვრებ ყველას, სულში.  
წმინდა ნინოს მადლით სუნთქავს საქართველო,  
ის წარსული, ეს აწმყო და მომავალი,  
მისი თმებით შეკრულ ვაზის ჯვართ ღვივის –  
უფლის ძალით, ჩვენთვის ციდან გარდმოსდილი.

# ეკატერინე ბაზერაშვილი

## სხივი

*ვეძღვნი უწმინდესს  
აღსაყდრებიდან 32-ე წლისთავზე*

მიყვარს სხივი,  
სხივი მზისა,  
სხივი თქვენი თვალებისა;  
სხივი გრძნობის,  
სიკეთისა,  
სხივი სულთა გადაბმისა;  
სხივი მიყვარს  
მომავლისა,  
ტაძრიდანა მომავლისა;  
სხივი დიდი  
მეურვისა,  
(და) ილია მეორისა;  
მომწონს ხალხში  
სხივი მთისა –  
მეგობრული მეუღლისა;  
წრფელი სხივი  
მიყვარს სხვისაც,  
სხივი თქვენი სიტყვებისაც;  
სხივი თან აქვს,  
არვის მისცა,  
დაუღამდა გზაში ვისაც;  
სხივი მიყვარს  
შორის რისა? –  
დიდისა და პატარისა;  
მიყვარს კიდევ  
ჯერისწერისა,  
სხივი თეთრი ქორწილისა;  
სხივი ერის,  
თუ ბერისა,  
მაკრთობს სხივი იბერისა!  
მიყვარს სხივი,  
სხივი ღირსად,  
მწამს სამშობლოს თეთრი დღისა!  
სხივი მიყვარს  
ან აფრისა...

მაბნევს სხივი არაფრისა;  
ჰოდა, მიყვარს  
ყველა სხივი, –  
ჭეშმარიტის ყველაფრისა!  
სიცოცხლის და  
ღიმილისა,  
შუბლზე სხივი მირონისა;  
სხივი მიყვარს  
ჯანსაღ ხისა,  
გაუთელელ ბაღახისა;  
დამაქვს სხივი  
ცრემლებისა,  
სხივი ედგეს გარდაცვლილსა;  
სხივი მიყვარს  
სხივი ცისა,  
ღამე მთვარეც სხივებს სცრისა;  
მიყვარს სხივი  
ოცნებისა,  
სხივი ფერთა გამებისა;  
მიყვარს სხივი  
ხარებისა,  
სხივი წმინდა სამებისა!  
სხივი მიყვარს  
ობლებისა,  
სხივი ჩემი მშობლებისა;  
ზეცას სხივი –  
მამის, ძისა,  
აქ კი სხივი – ჩემი ძმისა;  
მიყვარს სხივი  
მგალობლის და  
გედის თეთრი ბუმბულისა;  
უდედმამოს  
შვილობისა...  
მიყვარს სხივი მშვიდობისა!

## ანი მაისურაძე

### ატირებული გეთსიმანია

იესოს ტოვებს გეთსიმანია,  
ფერად კვირტებზე დაუნამია.

დაჩოქებულია მთაზე სხეული  
მამის კალთაზე შემოსვეული.

მოახლებულა სასმისი ტუნთან,  
ჩასძინებიათ მეგობრებს ურჩად.

ესხმის იუდა მახვილ – კეტებით,  
ფარისევლურად და გამეტებით.

მიჰგვრიან ნებით სასტიკ მღვდელმთავარს,  
ჰეროდე „მეფით“ აცინებს მავანს.

ისკარიოტელს ვერცხლი იმიწებს,  
პეტრე მამლის ხმას ველარ ივიწებს.

ნუთუ არ უნდა დასჯა პილატეს?  
პრეტორიასთან შფოთი იმატებს.

ღმერთზე იცვლება მკვლელი ბარაბა,  
კეისარს ხელი ხელმა დაბანა.

ადგილი თხემის განაჩენს ელის,  
ღერწმის ჭრილობა ერთვის ქვაფენილს.

ტანზე აღვივებს გვემა ტკივილებს,  
ჯვარი აჰკიდეს სიმონ კვირინელს.

ეკლებქვეშ ნერწყვენ თვალის ცისფერ ფერს,  
ვიდრე ლურსმნებზე სისხლი იფეთქებს.

აღესრულება გვემა მზაკვრების,  
ატყდება ხვედრი ავაზაკების.

ბოლო წვეთები დასდიან ჯვარცმას,  
რომ კიდევ ერთხელ შეუნდოს და-ძმას.

დგას მარიაში, რომ მხოლოდშობილს  
ისევ უპოვოს კვალი ბავშვობის.

დედის ცრემლებში ჩარგულ ღვთისმშობელს  
შვილის ცხედარი ვეღარ იშორებს.

.....

აღდგა სიცოცხლე მამისეული,  
მთაზე ამაღლდა უფლის სხეული...

ფერად კვირტებზე დაუნამია...  
იესოს ტირის გეთსიმანია.



## ნანა შუბითიძე

### არ გავაშავეთ ცოდვებით ზეცა

ცას რომ დაფარავს ღრუბლები ქუფრი,  
მხურვალე ღოცვით შევთხოვთ ღვთის ძესა,  
შეგვინდოს, საქმით თუ გულისთქმებით,  
რომ გავაშავეთ ცოდვებით ზეცა;

სიყვარულსა და სითბოს რომ ვკარგავთ,  
საკუთარ თავში ეშმაკს რომ ვძერწავთ,  
ცოდვილი ხელით პირჯვარს ვიწერთ თან,  
ერთმანეთისკენ მავალ გზებს ვლეწავთ...

უფალი ჩვენთვის ჯვარზე ეწამა,  
ჩვენ კი არაფერს ვუკეთებთ ჩვენს თავს.  
წყალობა გვინდა, კურთხევას ვითხოვთ,  
მაგრამ დგომა კი არ გვინდა ღმერთთან...  
ღრუბლები კი არ იქუფრებიან,  
ჩვენ გავაშავეთ ცოდვებით ზეცა!!!

.....  
თუმცადა ცოდვა ძალზე ბევრია,  
ვერ გადაწონის წყალობას ღვთისას.  
არ შეგვეშინდეს, დავდგეთ უფალთან,  
მოგვეფინება ციაგი მზისა.  
სიყვარულსა და სითბოს ვიპოვით,  
ცაც არ მიიღებს ფერს ცოდვისფრისას...

## აღექსი გოგბერაშვილი

### უფალს ვუთხარი მადლობა

ღამეა უკვე მიმქრალი  
და ცის ტატნობიც ამაღლდა,  
ჩამოდგა დილა სისხამი,  
მჭახედ იყივლა მამალმა.  
სარკმლებს ადებენ ნელ-ნელა  
ოდა-სახლი და მარანი,  
ირგვლივ კი მოლი ელვარებს,  
გალუმპულია ცვარ-ნამით.  
მზერას მტაცებენ რარიგად  
ჩიტები – ღალი ფრთხილით,  
შორს დარჩა ნისლი ზამთრისა,  
დამთავრდა დრო ნადვლიანი.  
საამოდ მესალბუნება  
აღუჩა,- მამის დარგული,  
სოფელს შვენის და უხდება  
აპრილის ეშხი, ზღაპრული.  
რაიც ვიხილე,- ვიწამე,-  
(უფლის მადლი და წყალობა,  
და ამისათვის იმწამსვე,-  
უფალს ვუთხარი მადლობა.

## იამზე არველაძე-ხეცურიანი

### კვლავ მადლი ჰქმენი

როს განიხვნება აღმოსავლის ცისკრის კარები,  
გადმოგვაპკურებს ღვთიურ ცვარ-ნამს მადლი სამების,  
გარდავისახავ პატიოსან ნინოსა ჯვარსა,  
დაუდუმებლად: მეოხ მეყავ, ვვედრი უფალსა:

მამაო ჩვენო:

საჭეთმპყრობელო

ხესკნელ-ქვესკნელის და გარესკნელის,

გულთამხილველო, თვალთამხილველო,

სულისჩამდგმელო –

ყოველივესი,

მონდობილნი ვართ შენზე მოყვასნი!

ჩვენ გულში ზიხარ,

შენ უკეთ უწყი:

რანიც ვიყავით უკუნისიდან,

რანი ვართ ახლა, ხვალ რა ვიქნებით,

მოვსულვართ ქვეყნად

ურყევი ნებით,

შენივ სახებად, შენივე გზებით.

უფალო ჩვენო:

კაცთმოყვარეო,

ამ სოფლად გულის მაცოცხლებელო,

იმ ქვეყნად სულის მაცხოვნებელო,

ხარ სიყვარული

სიმართლე ჩვენი,

შენ სადიდებელს აღვაველენთ რწმენით!

ერთარსებაო,

გულმოწყალეო,

ნათელმომფენო და მადლმომფენო,

შენით გვაქვს ძლევა ჭირთა დათმენის,

რაკი ვარსებობთ,

ვსულდგმულობთ შენით,

შეცოდებანი შეგვიინდე ჩვენი.

წმინდაო ღმერთო,

ყოვლად ძლიერო,

დიდია ქვეყნად განგება შენი,

ისმინე თხოვნა: კვლავ მადლი ჰქმენი:

გაგვიმთლიანე,  
გადაგვირჩინე,  
ეს საქართველო ქრისტესმიერი!!!

## კლარა გელაშვილი

### ბედი მღევარი

*„ფიქრი მტკვრის პირას“  
ნ.ბარათაშვილი*

მოვედ მტკვრის პირას, საუკუნის შიშით დაზაფრულს,  
მსურდა, მეხილა...ო, ამაზე ფიქრიც აღარ ღირს!...  
რას ვიფიქრებდი, თვითონ დროის გამფლანგველ სოფელს  
წუთისოფლისგან გაძარცვულს თუ დავინახავდი!...  
მოვედ, მეგონა, კვლავ მელოდა ძველი ადგილი,  
თუმც, ღბილი მდელის პოვნა იყო არცთუ ადვილი,  
აქ მოშიშვლებულს და ფერშეცვლილს ვეფერე მდელის,  
ვაკვირდებოდი, მაგრამ არ-რა მე არა მეცნო!  
ჯირკს, გადანაკაფს, შესტიროდნენ სხვანი კუნძები,  
ეს, მტკვარო, მტკვარო, ასეთ ყოფას რით გაუძელი?!  
შენ ისევ დუმხარ, რად მეგონა, გნახავდი მეტყველს?  
ვაჟას კლდესავით სცადე, ენა აიდგა ერთხელ!  
ნუთუ ამდენის თვითმხილველი კვლავ დუმილს შესძლებ,  
რატომ მეგონა, ეგ ტალღები მე ყოვლისშემძლე?!  
როცა მტანჯავდა იქ, საფლავში, მე ქართლის ბედი,  
ყოფნა-არყოფნა, ყოველივე ერთია შენთვის?!  
მტკვარი შეჩერდა, გაფერმკრთალდა, შექანდა, შედრკა,  
მერე აზვირთდა, აიქოჩრა, მოაწყდა ნაპირს,  
შეათამაშა, შეარხია სხეული ერთობ, –  
მოთქმა დაიწყო შეილდაკარგულ დედისებრ განცდით:  
– უტყვი მიწოდე საუკუნის წინათაც, მახსოვს,  
ამაოებას დასცინოდი სოფლისას მაშინ...  
მაშ, რა გეგონა, აღუვსებელ მოდგმათა შორის  
გამოჩნდებოდა საწყაულის აღმსები კაცი?!  
ანდაც მეფენი, სხვათ დიდების მნატრნი და მტაცნი,  
შეშინდებოდნენ მიწადქცევის შიშით და განცდით?!  
კვლავ მტკვარი მქვია და რადგანაც თქვენ სახელს იცვლით,  
სწორედ ამიტომ, ჩემზე უკეთ ირეცხავთ სირცხვილს!!!  
მტკვარი ბორგავდა, ვერ ვისმინე კიდევ რა ითქვა,  
თუმც მის წისქვილზე ჩვენი ყოფა მაინც დაიფქვა...  
შემრცხვა, ადამის მოდგმის ცოდვებს ვყვედრიდი რადა,  
ჩვენ, გონიერნი, მის დინებას მივყვებით სადა?!  
ზარების ხმაზე შეფრთხილდა გუმბათზე მტრედი,  
აღვენებოდა ტატოს მერანს ქართლისა ბედი!...

## ნუნუ ძამუკაშვილი

### ალავერდის ტაძარი

გუშინ, ერთხელ, კიდევ ვნახე  
ალავერდის ტაძარი,  
ისევ, ისე გამაოცა, –  
რომ სიტყვაც ვერ დაგძარი!

დიადია, იცით, როგორ?  
დრო მის ძაღვს ვერ წაშლის,  
გუმბათი კი ზეცას სწვდება, –  
აფრენილა ზეცაში.

დავიწერე პირჯვარი და  
ავასხივე სანთელი,  
უფაღს ვთხოვე მოგვაფინოს  
უფრო მეტი ნათელი.

## ბაჩუა ეჯიბია

\* \* \*

შენ, ჩემო დაო,  
ჩემო სისხლო!.. გქვია როდესაც...  
უბრალოდ მიკვირს  
როგორ ანთებ სანთელს ტაძარში?!  
თაეზე მანდილით,  
ლოცვანიდან როგორ კითხულობ  
და თუ კითხულობ  
სიყვარული როგორ, საით ქრის?  
თუ ათი მცნების  
ტვირთი ჩემმა სულმა ვერ იღო,  
შენ, ღვთისმოსიშო,  
მოგეთხოვოს უნდა ასმაგი.  
გულისწყრომიდან  
გადაფსკვნილო, სულის ღვლეფამდი,  
ვითომ მორწმუნის  
მოტყეება ამაღ არა ღირს.  
თუმც მისატევი  
მიმაჩნია მაქვს მე არა რა  
და იქნებ ესეც  
სასჯელია მიუტევები...  
მაგრამ შენ დაო,  
სათნოება ვერ აგინთია,  
ვერა და ვერა,  
სიყვარულის ჩამქრალ კანდელში.  
აღსარებაში  
ჩემზეც იტყვი ალბათ ორ სიტყვას,  
რომ ფეშხუმიდან  
შესვა ღვინო – სულის წამალი.

შენ, დაო ჩემო,  
სისხლო ჩემო... გქვია როდესაც...  
უბრალოდ მიკვირს,  
როგორ ანთებ სანთელს ტაძარში?

## კახაბერ ჭიჭინაძე

### ეს რა გვეოლია!

ვერხვები რიგში დგანან მდუმარედ,  
აუწვევიათ ზევით ტოტები,  
მხატვარი ერთი ცრემლმორეული  
მიჰყვება აღმართს ჩუმი გოდებით.  
ირგვლივ არავინ, არ არის შემწე,  
არც დარდი მისი ვინმეს ჰქონია,  
გარდასახულზე  
იტყვიან მხოლოდ:  
„ეს ვინ ყოფილა – ეს რა გვეოლია!“

ერთი პოეტიც და ანგელოზიც,  
თურმე ისიც აქ, აქვე გვეოლია,  
მუნთალი ტყვია, მისთვის ნასროლი,  
შემართებული  
ჩვენ ხელთ გვქონია.  
მერე მივალთ და დავუნთებთ სანთელს...  
ნამუსი,  
თავი ქუდში გვეგონია,  
მერე კი ვიტყვით: ჰეი, ქართველნო!  
„ეს ვინ ყოფილა – ეს რა გვეოლია!“

მიტომ გაფრთხილდით, ეძიეთ კარგად,  
ის თქვენთან არის! და იარება,  
გამოარჩიეთ ალმასი ქვებში  
რომ არ გამოგრჩეთ ეს ზიარება.  
უბრალო, ჩუმი, – გახდება გმირი,  
კაცი დარდი კი ალმას ბროლია,  
ღმერთო აცხონე, ყოფილა ღირსი!  
„ეს ვინ ყოფილა – ეს რა გვეოლია!“

ექვთიმე არის ის, თუ ილია?!  
ნიკალაა თუ, ის სათნო ბერი?!  
აქვე დგანან და აქვე არიან,  
არ უნდა ძებნა – წვალება ბერი.

სწორი ბილიკით, ჭეშმარიტებით  
მიუყვებიან ასე ცხოვრებას,

შენც დაინახე და შეუერთდი,  
შენც შეუდექი სულის ცხონებას

ასე ხელიხელ, ასე გულიგულ,  
ასე ღოცვით და ასე მარჯვენით,  
ვერ დაგვამარცხებს ვერც ერთი ურდო  
და სულ ვიქნებით მუდამ ქართველნი.



## გიგა გოგბერაშვილი

### იწამე ღმერთი

ბედის ნამგლებმა ადამიანთა  
რამდენი წრფელი ნატვრა მოცელეს,  
ეკლესია კი უბრუნებს კვლავაც  
ჭეშმარიტ იმედს გულით მლოცველებს.  
მერე თვალნათლივ საზღვარი არ აქვს  
მათ სანუკვარ და ღამაზ ოცნებებს,  
იწამებ ღმერთს და დასძლევე თამამად  
ჟამის სიავეს გამაოცებელს.

## სოფო ჯიჯელავა

\* \* \*

ბერად აღკვეცეს, გაერიდაო ამ წუთისოფელს  
და სიყვარული არჩიაო, უფლის დიდება,  
შეჰფარებისხარ მათათა კალთებს, როგორც ნუგეში  
და უშენობით მერამდენე დილა ბინდდება.  
ჩვენი პირველი სიყვარული, ჩვენი ბავშვობა,  
დღეს ყველაფერმა ჩამირბინა თვალწინ წამივით,  
მე შემოგხედე, ბერი იდექ ჭაბუკის ნაცვლად  
და მე ავტირდი მიტოვებული, ქერივი ქალივით...  
შენ ხომ ტკბილ სურვილს ანაცვალე გზები სამოთხის,  
იქ ალბათ სხვაა, უფრო სხვაგვარად თენდება დილა,  
ბევრი ვერ გიგებს, ბევრი ალბათ გაგაკიცხავს კიდევ,  
ჩვენ აქ ცოდვილი ადამიანები ხომ, ერთმანეთს ყოველდღე ვკილავთ...  
ალბათ იქ ჯობდა წასულიყავ სადაც წახვედი,  
სადაც ცხოვრება უფრო სუფთა, უფრო წყნარია,  
გარიდებოდი ამქვეყნიურ ამპარტავნებას  
და დღეები ისე გაგელია, თითქოს ქნარია...  
და იყავ მარად... კურთხეული უფლის წყალობით,  
არ მოიხედო, აქეთ ისევ ცივა, ისევ ქარია,  
აღარ მინატრო, აღარა ვარ მე ამის ღირსი,  
აღარ მინატრო... მე ხომ მაინც, მაინც ქალი ვარ...

## ნათია ხიჯაკაძე

### შატილის მთებში

შენ გაზაფხული არ გინახავს შტილის მთებში,  
შენ არ გინახავს მთის მწვერვალის დნობა ნელ-ნელა,  
არ შეგიგრძენია მზის ამოსვლა სუსხიან ზამთრის,  
ბინდის გაყრაზე შიგ იქ, მთებში როგორ თენდება.  
მთებში სულ სხვაა, იქ სიცოცხლე სხვაგვარად ფეთქავს,  
იქ სიყვარული სხვა გვარია მერწმუნე ქალის,  
შენთვის უცხოა, თუმც ვაუკაცმა შატილის მთებში  
ქალის გამოც კი შეიძლება გაწიროს თავი.  
წამო, გავიქცეთ შიგ მთებში მსურს შენთან ცხოვრება,  
მინდა დიდი მთა გადავლახო ფეხით შიშველმა,  
მინდა ზამთარში სიცივისგან აკანკალებულს  
მომიაღეროსო სოყვარულის შენმა სიტყვებმა.  
მე დღეს გეძახი, გავიქცეთ ერთად,  
წუთით მოვშორდეთ ჩვენ ამ სამყაროს,  
წამო, მთის წესით ჯვარი დაგვწერონ,  
რომ ბოროტებამ ვეღარ გაგვეყაროს.  
წამო, იქ სადაც ვერვინ მოგვაგნებს,  
სადაც სიყვარულს აყავხარ ცამდე.  
წამოდი, ოღონდ გავექცეთ ამ ხალხს  
წამოდი, მთებში გავიქცეთ სადმე.  
წამოდი, მთებში შევხვდეთ გაზაფხულს,  
ერთად ვუსმინოთ მღერას ჩიტების,  
მე, შენ გაჩვენებ იქ მაღალ მთებში  
თუ როგორ ხდება გაშლა კვირტების.  
ჩემი ფესვები მთისკენ მიხმობენ,  
სულით ხორცამდე მთის შვილი მქვია,  
მისგან სიშორეს გული ვერ უძლებს,  
მისგან დაჭრილის გულში მაქვს ტყვია.  
წამოდი, სანამ ჩუმი ნაბიჯით  
შემომპარვია ჭაღარა თმებში,  
სანამ ძარღვებში კვლავ მიჩქეფს სისხლი,  
სანამდის ძალმიძს გაქცევა მთებში.  
წამოდი, მთაში სხვა ცხოვრებაა,  
აი როგორსაც წლები ვლამობდით,  
პაპაი მიხმობს თავის ნასახლარს  
და თუ კაცი ხარ, შენც იქ წამოდი...

## თემურ ტაბატაძე

### იპოსტასი

„ღმერთი ყველაფერი იყოს ყოველში“.  
(1.კორინთ. 15; 28)

გამოვაზამთრე  
შემოქმედის სურვილი ჩემში,  
გაღიის კარი გავუღე და  
გავუშვი მუზა,  
მივიწყებული,  
დავრდომილი,  
მოსრილი მხრებში,  
თავისუფლება,  
სუფთა ჰაერს ბავშვივით სუნთქავს.

## დავით ასილაძე

\* \* \*

აღიონიდან უფლის სახელს ეგებებიან  
დედამიწაზე შავი კაბით ანგელოზები  
დგებიან კრძალვით და კაბებით იმოსებიან  
და მათთან ერთად საუბრობენ სერაფიმები  
უფლის ხატთან და პირდაპირი გრძნობით ზეცისკენ  
ხელებს ადაპერობს მონაზონი ცისკრისთანავე  
დგანან და ისევ მთელი გულით ევედრებიან  
წმინდა სიყვარულს ბედუკუდმართ დედამიწაზე...  
მეტანიებით მიიღია დილის რიჟრაჟი  
მიწის სიყვარულს ეჩვევიან ანგელოზები  
დღე გაიღევა კიდევ ერთხელ უფლის დიდებით  
და გადაღლილი, მწუხრის ღოცვით განიმოსებით  
დილის სიმძიმით, ძილისაგან აღმდგარ სხეულში  
სულის სიწმინდე ამსუბუქებს ხორცის სიმძიმეს  
დღეში შვიდგზის და სულისათვის მაინც უკმარისს  
მუდამ ახსენებთ საკუთარ თავს – სულო ნუ გძინავს!  
გამოიღვიძე, მოახლოვდა უფლის დიდება  
მოინანიე შეგიწყალოს რათა მესიამ  
თქვენი შემოსვა შავი კაბით ღმერთმა ინება  
და თავმდაბლობა თქვენი სულის ისევ მაოცებს...  
...დგანან ბერები ღოცულობენ უფლის წინაშე  
მეტანიებით გამოიხსნეს ცოდვილი ვრი  
და თუ ჰკითხავენ, რაი არის სახელი შენი?!  
უპასუხებენ თავმდაბლობით: „ცოდვილი ბერი“.

## ბესარიონ ქვრივიშვილი

### ამყავებოდეს ხელთ მწყემსის ჯოხი

მზე ჩადიოდა ლურჯ მათა მიღმა,  
მთვარე წერტილად მოჩანდა ცაზე,  
დღე მთავრდებოდა, თმას მივერცხლავდა,  
ხმა მეძახოდა, – იცხოვრე რაზე...

მივეყვები დროის დუბელა ტაღლას,  
არწივის მართვემ ვიშვილე ღაღლა,  
ენგურის ჩქერებს, მტკვრის მცხეთის უბეს,  
საცხოვრებელად ვარჩიე გუბე.

მტრედი ქორწილის მაცნედ მოვიდა,  
მაყრებად მოჰყვნენ მყინვარი, შხარა,  
მე ხელს ავუქშევ, ვრჩები უდაბნოდ,  
ექო ტკივილად გადადის, – არა.

ვერძნობ ეს არ არის ბუნება ჩემი,  
ვერ ვფლობ სიხარულს და ეს მაწუხებს,  
გედისყელა ხომ ვერ იტანს სული,  
ყელში წაჭერილ ვნების მარწუხებს.

ყორნის ნისკარტმა ჩემი ცისფერი  
და მეოცნებე თვალი დაბინდა,  
მიწად მიმსჭვალულ გულისა ფრთებით,  
მომიხმობს ზეცა, – გაფრენა მინდა.

მე ნათლის მხედრად, – ბრძოლისთვის ვიშვი,  
და არ ვეძებო მყუდრო საფარი,  
თუ ვარ ვაჟკაცი და მინდა ვპოვო,  
სიკვდილის შემდეგ ნაალაფარი.

კედლიდან მოვხსნი დამტკვერილ მახვილს,  
ფეხზე შევხვდები რიჟრაჟს ადრიან,  
მზეს მივეგები თაბორის მთაზე,  
უბეში ჩაკვრეფ სხივებს მადლიანს.

„უფალმან მმწყსოს და არაი მაკლდეს“,  
ნურც შემეშინოს ბალახის ისრის,

მზის ანათლისთვის თუნდაც დამჭირდეს,  
ჯალათის ხმლისქვეშ მოდრეკა კისრის.

ვთიბო ბალახი ნაბიჯ-ნაბიჯად,  
მარჩენალ ძროხის ვხვეტო ბოსელი,  
ამყვავებოდეს ხელთ მწყემსის ჯოხი,  
და მომრგებოდეს ცის სამოსელი

## ლელა ნიშნიანიძე

### მარადის გმირად

ტაძარში ერთი ენთო სანთელი.  
მისი ცეცხლის წვერს გუმბათთან ასულს,  
მუხლმოდრეკილი ვედრებდა ქალი  
და იგონებდა დღეებს გარდასულს.  
ბაგეს სწყდებოდა მხურვალე ლოცვა,  
ბაგეს ცრემლებით დანაინამულს,  
ელანდებოდა უწყალო ხოცვა,  
ბგერები ჰაერს უნთებდნენ აღმურს.  
გარეთ კვნესოდა ქარი დაჭრილი,  
ქარი ნატანჯი და ნატყვიარი,  
თითქოს, იმანაც დაკარგა შვილი  
და გულში დარჩა მწარე იარა.  
ქალი ხედავდა ფრესკებს და ხატებს,  
მაგრამ სულ სხვაგან დაჰქროდა გონი,  
გულს მსნეობა და სიმრთელე მართებს,  
მაგრამ ვაი, რომ არ ძალუძს, მგონი.  
ხედავდა ქალი, გორი კვდებოდა,  
თვალწინ უყრიდნენ მოძმეებს მოკლულს,  
მირბოდა ქალი და თან ბნდებოდა,  
რომ აბიჯებდა გზებს სისხლით მორწყულს.  
სხეულებს ტყვია უწყალოდ ხევდა  
და გაიგონა „მე ვრჩები, დედა!“  
იმ წამში უფრო მოაწვა სევდა,  
იმ წამში გული ასჯერ დაბერდა.  
უცებ მის თვალებს მიაპყრო მზერა  
და შეეფეთა ვაჟკაცის თვალებს,  
გულში ჩაიკრა და მიეფერა,  
უკანასკნელად აღირსა აღერსს.  
ქალმა პირჯვარი გამოისახა,  
გზა დაულოცა ვაჟკაცს გულქართულს,  
დედური გრძნობა გულში დამარხა  
და შვილი მცველად მიუძღვნა მამულს.  
და, თუმცა, გული უღვთოდ ტიროდა,  
მაინც ხარობდა ვაჟკაცის გაზრდით,  
ქართველის დედისებრ ქალი გმირობდა,  
არ ემჩნეოდა გულს განაბზარი.  
ომის ქარცეცხლში გასწია ვაჟმა,



და ცოცხალ კედელს შეჰმატა ლოდი,  
დედის ფიქრები მოიცვა დარღმა  
და დაედარა გული მოლოდინს.  
ვაი, რომ გაქრა ლოდინიც მწარედ,  
შვილმა სამშობლოს უფარა მკერდი...  
ტაძარში ემხო, ტიროდა ცხარედ,  
სასოდ უჩანდა მხოლოდდა ღმერთი.  
ტაძრიდან გასულს შემოხვდა ქარი,  
თითქოს, სამძიმარს ეუბნებოდა  
და ტკივილს უკვე ვერ გრძნობდა ქალი  
ყველა ავდარიც სადღაც ქრებოდა.  
დაემხო, მუჭით აიღო მიწა,  
თითქოს, თავის შვილს იკრავდა გულში  
და საქართველოს გადანასკვლმა  
სული დალია მის სიყვარულში.  
და როგორც სისხლის ყივილი მწველი  
მომავალს უდევს შეურყევ ხილად  
„მე ვრჩები, დედა!“ სიტყვების მთქმელი  
მართლაც დარჩება მარადის გმირად.

## მარეხი ხოჯელანი

\* \* \*

ჯერ მარტო სული მაქვს ისეთი,  
ანკარა წყაროსაც გადარევს,  
ჯერ მარტო გრძნობა მაქვს ისეთი,  
რომ წელში უდრეკ კლდეს გადატეხს.  
გამიშვით, გაეშალო ხელები,  
ფრენაში არწივებს გავასწრებ,  
ჯერ მარტო სისხლი ჩქევს ჩემს ძარღვში  
ისეთი, რომ ქვესკნელს გადარევს.  
ამპარტავნობა გგონიათ?  
არ შეცდეთ, ვთავმდაბლობ იქამდის,  
რომ თქვენ მზეს ვფიცულობ სიზმარშიც.  
ჯერ მარტო სუნთქვა მაქვს ისეთი,  
ჰაერი ტკივილით მიაღწევს  
სხეულში გასაველელ ნიაღვრებს.  
ჯერ მარტო მიყვარხარ იქამდის,  
თვალებში შენი მზე მინათებს.  
გგონია ჰაერით ვისუნთქებ?  
არა, მის ნაცვლად გინატრებ.  
გგონია ამ გულით ვიცოცხლებ?!  
არა, გულადაც მჭირდები.  
იცოცხლებ, ძვირფასო უბრალოდ  
მე შენ სიცოცხლედ გისურვე.  
მე შენ ბუნებად მჭირდები,  
უფალთან სანთლის დამნთებად  
ვითხოვე შენი ხელები,  
ტაძარში მისვლას ვერ ვბედავ,  
გამბედაობად მჭირდები.  
ლოცვისთვის შენი ბაგე და  
მიტევებისთვის ცოდვების  
შენ ერთადერთი მჭირდები.  
გგონია შენით მოგკვდები?  
არა, მე უშენობით  
ცოცხალიც მკვდარი ვიქნები,  
შენით კი მკვდარიც სიცოცხლედ  
და მგოსნად მოგეჩვენებით!  
გგონიათ, რომ ვამპარტავნობ?  
არა, ვთავმდაბლობ მიწამდის!

ჯერ მარტო ცა მაქვს ისეთი,  
სიცოცხლედ გამომიძახებს.  
ჯერ მარტო ღმერთი მყავს ისეთი,  
ვედრებას დამიფრთიანებს.  
გგონია შენით მოხვედი?  
არა, სიზმარში გინატრე,  
მთის სიოდ გამოგიძახე.  
მე გაზაფხულად მჭირდები,  
მთაში სიმწვანედ გინატრე,  
ენგურის მჩქეფარ ტალღებად,  
სიგიჟედ გამოგიძახე,  
არანორმალურ ქარბუქში,  
ბედნიერებად გინატრე.  
გგონია შენით მოგკვდები?  
არა, სიცოცხლედ მჭირდები,  
მე სუნთქვად გამოგიძახე.  
როცა მოგკვდები სასთუმლად  
სიკეთე გამომიტანეთ,  
გრძნობა უდრეკი, ურყევი  
აღერსად გადამაფარეთ.

ზურაბ ზოიძე

სოფელ ჭალაში  
სამების ეკლესიის კურთხევა

აქ იყო ოდესღაც  
მშვენიერი ტაძარი,  
მგალობლები გალობდნენ საგალობელს,  
ზეობდა მზესავით აზრი მწყაზარი,  
უფალი გზავნიდა ციდან საწყალობელს.

დიდება უფალს,  
უფალს მადლობა,  
ჭალაში მოხდა ძლევაი საკვირველი,  
კოკობილის ახლოს შედგა ნათლობა,  
იკურთხა ნატარძალი, ტაძრის საძირკველი.

მრევლმა დაივიწყა  
ჟამი უღმობელი,  
აღაგლინა ლოცვანი წმიდათა წმიდა,  
ცათა შინ ტიროდა მარია მღვთისმშობელი,  
დილიდან საღამომდე წვიმდა და წვიმდა.

## მანანა ქურდაძე

\* \* \*

### *მამა გიორგის*

მოძღვარო, მე თქვენთან მოვედი  
და სულით ხორცამდე მოგენდეთ...  
და იყო აქამდე ომები, ომები,  
ძვრები მიწისა და ზურგი შემაქცია  
სამყარომ...  
მიმიღეთ ასეთი ურწმუნო, ცოდვილი.  
ვარ ადამიანი მაქცია  
და მგლების ხროვაში ომეგა,  
სული სანთლის ალად მიქციეთ  
და ომები ერთად მოვიგოთ.  
ჭია მჭამს...  
სახრავი გულისა მსუყეა...  
რად უნდა გაგიყოთ  
მე ჩემი ცოდვების უღუფა?!  
ჭია მჭამს...  
მე ხომ მყავს უფალი!  
მე ხომ მყავს უფალი!  
და უფალს სუფთა აქვს თვალები,  
უფალი წყაროა სიკეთის,  
ჭია მჭამს...  
გმობას და სიძულვილს მიკვეთავს.  
თავი შეგაწყინეთ მოძღვარო,  
უფრო აღვილია ღუმილი,  
ახლა ვარ მე ღმერთით მაძლარი  
და თქვენ ჩემ წინაშე მდუმარე.  
და ვიცი, რომ მე მყავს უფალი  
და ვიცი, რომ გაგიყოფთ ჩემ სულის უღუფას.

## ტარიელ თოფურია

\* \* \*

როდემდე მოგვივლენს უფალი ილიებს?  
როდემდე ვამძიმოთ ილია ცოდვებით?  
იქნება, ჩვენ თვითონ რაღაცა მოვიგოთ,  
იქნება, ჩვენ თვითონ ვიფიქროთ ჩვენს თავზე.

იქნება, დავფიქრდეთ ჩვენივე ცოდვებზე  
და მერე დავიდოთ მალამო წყლულებზე.  
ჩვენ თვითონ ვიბრძოლოთ ბოროტის ძალებთან  
და მერე იქნებ და მოვიგოთ ეს ომი.

როდემდე დავღალოთ ილია დარდებით,  
მაინც ვერ მივიღეთ ის, რაც მან მოგვიძღვნა.  
იქნება, დავფიქრდეთ და მერე მივიდოთ,  
ის რაც ქვეყნისთვის ილიამ შეწირა.

იქნება, ვიზრუნოთ ჩვენივე ცოდვებზე,  
ჩვენ თვითონ დავფიქრდეთ სულიერ წყლულებზე  
და მერე იქნება მივაგნოთ იმ ნათელს,  
საითაც მიგვიძღვის ილია ცოდვილებს.

იქნება, ჩვენ თვითონ ვიდარდოთ ჩვენს თავზე,  
რომელიც სავსეა ცოდვათა სიმრავლით,  
რომელიც უყურებს უკუნით სიბნელეს,  
რომელიც ცოდვათა უბრალოდ გვამია.

იქნება, ვიდარდოთ ყველაფერ ამაზე,  
იქნება, დავბრუნდეთ უძღებნი მამასთან  
და თუ მართლა გვსურს ილია ვახაროთ,  
მაშინ ავდგეთ და სიყვარულს მივსდიოთ.

დღესვე დავიწყეთ წუხილი ცოდვებზე,  
რომ გადავაჯიშეთ ქართული სამყარო,  
რომ გავექეცით ურთიერთ სიყვარულს  
და რომ დავიწყეთ ჩვენ ძმების გაწირვა,

რომ შევეგებეთ ფიალით ქვეყნის მტრებს  
და ხმალი დავკაროთ სამშობლოს სხეულზე.

იქნება ვიფიქროთ, ვინანოთ ამაზე  
და მერე უარყოთ კაენის საგვარე.

გვიყვარდეს, შევუნდოთ, დავიცვათ ქართველი.  
ვებრძოლოთ, განვდევნოთ ქვეყნიდან მტარვალი.  
ვიფიქროთ, ვინანოთ, ვიტყვით ცოდვებზე  
და ისევ დავბრუნდეთ წინაპრის საგალზე.

ნუ გადავაჯიშეთ ქართული სულები!  
ნუ მივატოვეთ სხვებისთვის ცხოვრება!  
გვიყვარდეს, ვინანოთ, ვიფიქროთ აწმყოზე,  
ამითი გავყვებით ილიას გზა-კვალზე.

## ნინო ბოქლიშვილი

### ჩემი და თქვენი დარდები

წვიპზე ვართ, ქიმზე ვართ, გაშალეთ აფრები,  
ამ კურსით ყინულის სამყაროს ვასკდებით,  
ფუთფუთებს, დუდუნებს, ზღვა დელავს ტალღებით,  
ამინდმა დატვირთა გემბანი დარდებით.  
გარეკეს ღრუბლები სისინა ქარებმა  
მზეს წასკდა სხივები, აგვლანძქეს ალებმა,  
ენების სარსარი ატეხეს ქალებმა,  
ტარტარით დავცილდით ღმერთსა და სამებას.  
წამობით წამება, ვაჟას დადარდება  
ჩაკლული ილია, ერის დაბერება,  
შეცვლილი ზნეობით გოგოს გაბერწება,  
გადედაკაცებულ ვაჟის გახელება.  
ქოთქოთით, ხარხარით ჩაგხოცეთ გმირები,  
სანაცვლოდ ვუბოძეთ მათ შვილებს ჩინები,  
დაზამთრდა, დანაცრდა ბუხარში ჯირკები,  
დაობდა ქვეყანა, აცეკვდნენ ჭინკები.  
კიბის ქვეშ ნიკალას უჩვენოდ დაგდება,  
ან გალაკტიონის მასხარად აგდება,  
უცხოს დაფასება, ქართველის გაგდება,  
ლხინში დამღერება და ჭირში გაცემა.  
ყრმას ვეღარ ვაძინებთ ევროპულ მითებით,  
ჩრდილოეთს შემორჩნენ, გვებრძვიან სკვითები,  
ირყევა მსოფლიო შეშლილი რითმებით,  
შეეხო ყველაფერს ბინძური თითები.  
ჩვენ არ გვაქვს სხვა მიწა, სხვა ზეცა, სხვა წყარო,  
სხვა რწმენით არ გვინდა ბილიკი გავკვალოთ,  
ტაძრამდე სავალი გზა, ცრემლით დაფვაროთ,  
შეგვინდე, გვიშველე, უფალო საბაოთ.



## ირაკლი ძოძუაშვილი

\* \* \*

ქსოვილი სადა სათუთი არ დარჩება მუდამ  
უბრალო უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისაო შემიწყაღე მე  
ცოდვილი უკვალოდ არ დარჩება სისხლი ნებით  
გამოწოვილი უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისაო შემიწყაღე  
მე ცოდვილი შობილი დედის ტყავიდან ცხვრის ტყავში  
მხსნელსა თვისსა უგალობს უფალო იესო ქრისტე ძეო  
ღვთისაო შემიწყაღე მე ცოდვილი უწყალოდ არ დარჩება  
ქვეყნად არა ცდომილი უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისაო  
შემიწყაღე მე ცოდვილი.

## ზაურ კოდუა

### რწმენის სუფევა – ეს ზნეობა და სიყვარულია!

ფიქრებაშლილი ამ მიწის შვილი ვფრენ ცათა შინა –  
მეშვიდე ცაში ფრთამალი რაშით,  
რწმენით ვიქროლე და გავიკაფე კიდევ გზა ხსნისა  
გულდაკოდელმა ჩემს ქვეყანაში.

ამხედრებული თეთრ ზღაპრულ ცხენზე ვირჩევ პლანეტას –  
შარავანდიანს, მჭვირვალეს ბროლზე,  
მისი ნათელი გამარიდებდა მიწიერ ვნებებს –  
სადარდოს ყოვლად უნდომელ დროზე.

...მაგრამ ვერ ვაგნებ მე სხვა ცთომილზეც სულის საყუდელს  
უფრორე საღმრთოს ამ მიწა-წყალზე,  
მოწამებრივად აქ გავიქარვებ არასასურველს, –  
ჭმუნვას არშემდგარ ადამიანზე.

ჭირისუფლობა ზეციერისა ველარ შეცნობილთ,  
არც შეწყალება, არც რამ ნუგეში, –  
მათ, ურწმუნოებს, არ მონანიე სოდომურ ცოდვილთ,  
ამ ახლად დამდგარ საუკუნეში!

მე, ქრისტიანი ვერასოდეს დავთმობ რწმენის სუფევას,  
ვერც – ჩემს ღვთისმშობლის წილხვედრილ მიწას,  
სად მოციქულთა ქადაგებას და პირველკურთხევას  
მადლი მოუსხამს ასხმული მძივად.

შევტრფი ქართველი კდემით სამხერელ ქართველის ცისა ფერს,  
როცა მზე მკრთალი შავ ზღვაში ჩადის,  
მივეფერები ჩემ ირგვლივ ტყვექმნილ ზღვასა და მთა-ველს, –  
დროსაც, რომელიც ქვეყნიდან გარბის  
უძღებ სიცოცხლით, თუმცა ვერც ვითვლი აგბედით დღეებს.

მე „ღვთის რისხვაშიც“ ქვეყნის დაქცევას ველარ ვიწამებ, –  
რომ მზე ცხრათვალა ამოვა ლოდად  
და მოგვეწევა „ცით ქვათა ცვენა“, – წარღვნა მიწაზე.  
ღმერთო ძლიერო, ვინ გვართმევს ყოფას  
ადამის მოღვმას, მკვიდრობით შენგან უკუნისამდე?!

მწამს ჭეშმარიტად, რომ ჩვენ მოკვდავნი, უზენაესო,

ღვთის ხატად ვიშვით და მზესაც ვჩემობთ!  
მზეს შეგავედრებ, – მის ცხრავე თვალში უქრობად ენთოს,  
ძე შეცდენილთა მოქცევაც შეძლო...  
ღმერთო, საწუთროს წუთიერ სტუმრის სიმშვიდეს შეგთხოვ!..

ღღეს, მართლმადიდებელ ეკლესიის ეროვნულობას  
გმობენ ხმობილნი ლიბერასტებად,  
ფუთნიან გარყვნილ „ელგებეტეს“ და ბილწ „იდენტობას“,  
მართლმადიდებელთ შლიან სექტებად,  
სურთ – „...ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, ჩაკლან ზნეობაც!

გლობალისტებიც, რომელთა სწრაფვაც იდენტურია,  
ვეღარ ეღირსონ ქართველის წაშლას!  
მაცხოვრის კვართი განგებით მცხეთას ხომ დაცულია?!  
ქართველშიც რწმენა იცოცხლებს მარად!  
რწმენის სუფევა კი ბრძოლაა და სიყვარულია.

ღვთიებობებული შესამოსელიც გვაქვს ღვთისმშობლისა,  
რაიც ქვეყნისთვის საფარველია,  
გვიფარავს ძალიც – სვეტიცხოველის... მრავალ ტაძრისა,  
შორეთს შთენილიც ჩვენი ბედია –  
სულიერების მესაიდუმლედ ოქროს ხანისა.

ეჰ, ქართველობას რამდენი ტანჯვის გზა გაუვლია!  
„ასი ათასი მოწამეთა“ და  
სხვაც ათასობით ქრისტეს სჯულისთვის წამებულთა;  
წარგვსტაცეს – ოშკი, ხახული, ხანძთა,  
ოპიზა, ტბეთი... და ნუსხა მაინც არასრულია.

სიწმიდეების და მოწამეთა ამ სავანისა  
უთუოდ დიდი მადლი გვიცავდა;  
მოციქულთ სწორის – წმიდისა ნინოს ვართ ჩვენ მრწამსისა, –  
საჭეთმპყრობელთა და აწ წმიდანთა:  
ვახტანგ – დავითის, თამარისა და ქეთევანისა...

და მათი მადლით, თუნდ-ხილულ წმიდა გაბრიელ ბერის,  
მრავლობს ტაძრები, სალოცავები...  
მატულობს მრევლი, ძლიერდებიან ქრისტიანები,  
მოვა აღთქმული დროც გაბრწყინების  
საქართველოსი, – ერთიანობის ქვეყნის და ერის!

.შ.

...მანამდე მაინც, რაზედაც ვშიშობ, ვაცხადებ ღიად! –  
ეხება ეს იღია მეორეს,  
უწმიდესს, მრევლისგან წოდებულს – მეორე იღიად;  
არ გაისროლონ, ღმერთო, მეორედ!  
ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილი ჯერაც კიდია.

## დავით რობაქიძე

### ნინოს ქადაგება

ვეახელ მცხეთას, გამოვკვეთე აქ ვაზის ჯვარი.  
ვლოცავ ამ მიწას უხვდალიანს, კალთამადლიანს,  
ქებად მომიდის წმინდანების დიდი ლაშქარი,  
ვლოცავ ქართველ ერს საიმედოს, ღირსმომავლიანს!

დავდექ ქადაგად, დედაღვთისას შევსთხოვ, ვავედრებ...  
დარდი არ გდევდეს, არც სიმხდალე გაივლო გულში,  
გაფანტულ შვილებს მოვუხმობ და აქ დაგივანებ,  
უფლის შეწევნით ჩავაყენებ შენს სამსახურში!

მომიხაროდა, თან მომქონდა იმედი ხვალის,  
ვიახლე აგრევე მოძმე ერთა ნაფიქრი წრფელი,  
დედაშვილური სინატიფით, სიმტკიცით რვალის,  
გზას მილოცავდა ათასობით უფლის მორჩილი!

მლოცველი დედის თავმანდილის ქრისტეს შობისთვის,  
წმინდა მირონით შუბლნაცხებნი, კვართით მოსილნი!

## მაგდა ბებიაშვილი

### ტყუილ-მართალი ლექსი

*„იქნებ იყავ, იქნებ არც კი  
იყავი და მოგიგონე“.  
ჟაღენ*

გამოვიგონე.  
შენი სიმშვიდე გამოვიგონე.  
თორემ დღე-ღამის უღვთო ღრიალში  
რომელი ზღაპარი მიშველიდა?  
ანდა რომელი უშვილო დედაბერი მიშვილებდა?  
გამოვიგონე!  
კიდევ კარგი, რომ  
გამოვიგონე.  
თორემ გულქვა დედინაცვალი  
შინიდან გამიშვებდა  
და მანამ ივიშვიშვებდა,  
სანამ მამახემი...  
ეჰ! რაღა გაგაგრძელო?!  
ისედაც იცი.  
გამოვიგონე!  
ოცნებით შუა გზაზე რომ დაგწეოდი  
და ხელისგულიდან გაქცეული ბედისწერისთვის  
წყაროზე ჩამესწრო,  
გულიდან წუხილი მოვიგლიჯე,  
ხელუკუღმა მოვისროლე,  
უკან რომ აღარ მიმეხედა  
და აღარაფერი დამენახა.  
გამოვიგონე!  
მოგონებებში ახლადფესადგმული ბავშვივით რომ  
აგდევნებოდი,  
კვალში ჩაგდგომოდი,  
მთვარის შუქის ვერცხლისფერი –  
ნაცრისფერი გუბეებიდან მეგროვებინა  
და სიბერეში  
გაუთენებელ განთიად შუბლზე წაკრულს,  
უთვისტომოს,  
უსინათლოს,  
ნისლით სავსე სათლით ხელში,

აჭრილი რძის ქაფიდან  
სავსე მთვარე ამომეგორებინა  
და ზამთრის გრძელ ღამეებში,  
გორას როცა მიეფარებოდი,  
ფერდაკარგული მუყაოს ქაღალდიდან  
შენი ჩემთან ყოფნა  
ხელთავიდან  
ახალ მთვარედ გამომეჭრა,  
გამოვიგონე!  
მერე ვიქნებოდი შენით მთვარეული  
და შენთან ერთად გადავივლიდი  
მოთიბულ ველებს.  
შენი თვალებით დავითვლიდი  
ყველა იმ თავთავს,  
მზით გარუჯული ხელებით რომ  
თავთუხისფერ ნაწნავებში ჩამიწნავდი.  
მე ვიქნებოდი მთვარეზე დაწინდული  
და სარეცელზე ძილისპირულის  
ჭრელ სიზმრებს ჩუმად მოვპარავდი  
თავგასულ ფერებს.  
ხელისკანკალით მოვექსოვდი  
პაწაწინა წინდებს  
და დათოვლილ ბილიკებზე  
დედა ბელურას სიფრთხილით გადავაფრენდი  
ჩავარდნილ თვლებს –  
ფრთამოტეხილ უმწეო ბარტყებს.  
შიგ ჩავაქსოვდი ყველა დღეს და სუყველა ღამეს!  
ყველა ამბავს და ყველა ზღაპარს!  
ყველა იგავს და ყველა არაკს!  
ტყუილს და მართალს!  
მოგიყვებოდი,  
ჩემი ხელებით ამოყვანილ მზეს,  
როგორ ვახვევდი თეთრ მარლაში თოთო ბავშვივით,  
ანდა სათუთად როგორ ვასხამდი  
რძისფერ გემოს სადღვებელაში  
და ღვთისმშობელის სადიდებელ ღოცვასთან ერთად,  
როგორ ვმღეროდი „იავნანას“  
ია-ვარდის დედაშვილობის...

და ირწეოდა აკვანი ჩვილის  
და აღარ იდგა მიწური უბრად.  
გაოცებული,  
თეთრი ფრთებით მაგ სიჩუმეში,  
შენი სიმშვიდე  
მუხლებზე იდგა.

.....  
კიდევ კარგი,

გამოგიგონე.  
თორემ უშენოდ რა მოიყვანდა  
წუხანდელ სიზმარს!

## ზაზა ბაგალიშვილი

### გმარხულობ

დროში განტრულობ  
ვეღარ ვზღაპრულობ  
ცრემლით გმარხულობ  
შენ რომ განტრულობ  
ვერ ვსიხარულობ  
ჩემო აპრილო  
გულო დაღლილო  
სულო აღვსილო  
მადლო უფალო

გმადლობ ალილო...

## ციური ოქრუაშვილი

### ხუთი ტკივილი

როცა გავიგე, სული დაღონდა,  
იესოს დედას გულში რა ჰქონდა,  
ხუთი ტკივილი გულით დაჰქონდა  
და, მაინც, ღმერთის იმედზე ბჭობდა.

ხარება, შობა, მირქმა, შეპყრობა,  
ჯვარცმა ტკივილის ზენიტი იყო,  
არ დაუშვია, არსად, შეცდომა  
ეს იყო მისი ბედი-დელობა.

ფარისევლებმა შვილი კი არა,  
თვით დედა ღვთისა გააკრეს ჯვარზე,  
ჯვარზე იესო მარტო არ არის,  
დედა-შვილობა არის, თვით, ჯვარზე.

ჯვარზე გაკრული კაცობრიობა,  
მუხლმოდრეკილი მოდის და გმინავს,  
თავად, უფალმა ღმერთმა ინება,  
ამის მოწმეა წმინდა სამება.

როცა გავიგე, გული მეტკინა,  
მთელი სხეულით ვიგრძენ ტკივილი,  
მოდის და მოთქვამს საქრისტიანო,  
რომ დაუამონ დედას კივილი.

ხარება, შობა, მირქმა, შეპყრობა,  
ჯვარცმა ტკივილის ზენიტი იყო,  
არ დაუშვია, არსად, შეცდომა,  
ეს იყო მისი ბედი-დელობა.



## მაკა ბლიაძე

### ფარვანის ტბასთან

აბულ-სამსარისა და ჯავახეთის ქედებს შორის  
მდებარე ქვაბულში,  
ფარვანის ტბასა შინა...  
სარკე გახედებს წარსულში...  
გზაზე გაშლილა...  
შენამდე მოდის... სიცოცხლეს გმატებს  
შაორი, საბადოსწყალი და წვიმა...  
ცა იხედება შენში და მერე,  
მარგალიტებად ყინული ცვივა...  
ზამთარი თითქოს მხრებითვე დაგაქვს,  
არც არსად ყინვა, არც არსად ცვივა...  
სათავე თავად ხარ მდინარისა,  
მტკვარს რომ იპოვის და ყველგან მივა...  
ნაპირს ატყვია ნაფეხურები –  
სხივად გაშლილა,  
ფარვანის ტბასთან ეს მერამდენედ,  
ნინოს შემოსვლით თენდება დილა...

## ნინი გორგაძე (8 წლის)

### ჩვენი ბუნდოვნება

მოდით დავიჩოქოთ  
ნინოს მთელს კალთებზე,  
ლოცვა წვიმასავით  
იღბალს გაუბოდეს,  
მუხლზე დაჩოქილნი  
სევდას გვიამებდეს,  
მკერდზე მიკრობილნი  
ნელა ვშორდებოდეთ....

....და იმ საუკუნეს  
ნეტავ მოვესწარი,  
როგორ მოდიოდა  
ნინო ნაწნავებით,  
ტალღებს ეკრობოდა  
მისი სანდოობა;  
ხედებს ბუნდოვანად  
თეთრად ანათებდა.

შენმა სიძლიერემ  
ყველა გაგვამტკიცა,  
ქრისტეს არსებობა  
ყველამ აითვისა.

**ქრისტიანული პოეზიის I ფესტივალი  
„წმინდა ნინოს ჯვარი“**

2011 წლის 23 ივნისი  
თბილისი.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი დაჯილდოვდნენ:

**მარიამ წიკლაური  
ლია რუსიაშვილი  
გივი ილურიძე**

ღვთის სიტყვის ქადაგებისთვის, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისა  
და პატრიოტიზმისთვის ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი  
დაჯილდოვდნენ:

**ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
მამა ილია ჩიკვაძე  
თინათინ მღვდლიაშვილი**

ჟიური:  
**მამა ილია ჩიკვაძე  
გივი ჩიღვინაძე  
მისეილ დანიშაშვილი**

**ქრისტიანული პოეზიის II ფესტივალი  
„წმინდა ნინოს ჯვარი“**

2012 წლის 28 დეკემბერი  
თბილისი.  
წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი დაჯილდოვდნენ:

**ვანო ჩხიკვაძე  
მაია მიქაია**

ფესტივალის პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი დაჯილდოვდნენ:

**მურად მთვარელიძე  
ლელა ცუცქერიძე  
ცირა ყურაშვილი  
დავით შემოქმედელი  
მარიამ წიკლაური  
რონა ბუბუტეიშვილი  
ვაჟა ოთარაშვილი  
თამარ ფარჩუკიძე**

ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი დაჯილდოვდნენ:

**რეზო ადამია  
რეზო ესაძე**

ჟიური:  
**მამა ილია ჩიკვაძე  
გივი ჩიღვინაძე  
ბალათერ არაბული  
ზურაბ თორია**

ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალი  
„წმინდა ნინოს ჯვარი“

2013 წლის 4-5 სექტემბერი  
თბილისი.

4 სექტემბერი წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.

5 სექტემბერი საქართველოს მწერალთა სახლი.

ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი დაჯილდოვდნენ:

ელდარ ჭიჭიაშვილი  
ელგუჯა ლებანიძე

ფესტივალის პრიზით – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი დაჯილდოვდნენ:

ლალი ჯაფარაშვილი  
ანტონ გაგუა  
ალექსი გოგბერაშვილი  
ფარნაოზ რაინაული  
მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი  
ზურაბ ყოლბაია (იმიერი)  
იამზე არველაძე-ხეცურიანი  
ცისანა თვალთაშვილი

ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული  
წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი  
დაჯილდოვდნენ:

როსტომ ჩხეიძე  
ზინა სოლომნიშვილი

ჟიური:  
მამა ილია ჩიკვაძე  
ზაალ ბოტკოველი  
გენო კალანდია  
გივი ჩიღვინაძე  
მარიამ წიკლაური

## სარჩევი

ამირან სურგულაძე  
ედუარდ უგულავა  
ზოია ვაშაკიძე  
შოთა ზოიძე  
ჯემალ ჯაყელი  
თამარ ფარჩუკიძე  
ვასილ ბოსტაშვილი  
მიხეილ ჩხეიძე  
მამუკა დემეტრაშვილი  
დავით კიკვაძე  
მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი  
მაკა გელაშვილი  
ნიკა ფუტყარაძე  
მაია დიაკონიძე  
დავით გაბუნია  
ელდარ ჭიჭიაშვილი  
შოთა ტოგონიძე  
დონა კოლხი-ნარმანი  
ჟუჟუნა ხაჯიშვილი  
თეიმურაზ ქორიძე  
ციური თარგამაძე  
შავლეგო არაგველი  
ბესიკ ზაალიშვილი  
შორენა ჩახნაშვილი  
მაია მახარაძე (ია ჯიათელი)  
ლია ჭაბაშვილი  
ეკატერინე ბაზერაშვილი  
ანი მაისურაძე  
ნანა შუბითიძე  
ალექსი გოგბერაშვილი  
იამზე არველაძე-ხეცურიანი  
კლარა გელაშვილი  
ნუნუ ძამუკაშვილი  
ბახუა ეჯიბია  
კახაბერ ჭიჭინაძე  
გიგა გოგბერაშვილი  
სოფო ჯიჯელავა  
ნათია ხიჯაკაძე  
თემურ ტაბატაძე  
დავით ასილაძე  
ბესარიონ ქვრივიშვილი  
ლელა ნიშნიანიძე  
მარესი ხოჯელანი  
ზურაბ ზოიძე

მანანა ქურდაძე

ტარიელ თოფურია

ნინო ბოქოლიშვილი

ირაკლი ძოდუაშვილი

ზაურ კოდუა

დავით რობაქიძე

მაგდა ბებიაშვილი

ზაზა ბაგალიშვილი

ციური ოქრუაშვილი

მაკა ბლიაძე

ნინი გორგაძე

ქრისტინული პოეზიის I ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ქრისტინული პოეზიის II ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ქრისტინული პოეზიის III ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“